844/3 H13.003

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 49 (1065) | სამშაბათი, 2 მაისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.


## მიძღვნება ფაშიზმზე გამარჯვების 50-ე წლისთავს



**3 მაისი**

ქ. მოსკოვში საზეიმო აღლუმის მონაწილე ვეტერანების დელეგაციის გამგზავრება
თბილისის აეროპორტი 13 სთ.

ბავშვთა მხატვრული კოლექტივების კონცერტი ომის ვეტერანებისათვის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი 14 სთ.

**6 მაისი**

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის ახალგაზრდული ფესტივალი — კონცერტი
ქ. ბოლნისი 11 სთ.

**6 მაისი**

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა სასახლე 12 სთ.

**6 მაისი**

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის გახსნა
სამხატვრო გალერეა, 16 სთ.

**7 მაისი**

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი
ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი 12 სთ.

**8 მაისი**

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობისა და საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს ერთობლივი საზეიმო სხდომა.
ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბი 12 სთ.

**9 მაისი**

საზეიმო რიტუალი თბილისის გამარჯვების პარკში
თბილისი, გამარჯვების პარკი 10 სთ.

**9 მაისი**

საზეიმო სხდომები და დაღუპულ მეომართა პატივგების რიტუალები, შეხვედრები ვეტერანებთან
რესპუბლიკის ყველა ქალაქი, რაიონული ცენტრი 10 სთ.

**9 მაისი**

1941–1945 წ.წ. ომის მონაწილეთა საფლავებისა და მემორიალების შემკობა გვირგვინებითა და ყვავილებით
ქალაქი თბილისი. 12 სთ-დან.

## ქართველი და აზერბაიჯანელი ვეტერანების შეხვედრა

**29 აპრილს** საქართველოს ეწვია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დელეგაცია აზერბაიჯანიდან. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სამამულო ომის ვეტერანები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ჟურნალისტები. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქართველმა ვეტერანებმა.

იმავე დღეს დელეგაცია მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ, შეხვედრას ესწრებოდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე ირაკლი მენაღარიშვილი, სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი ალექსანდრე ბერიძე, ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი დარჯანია, სამამულო ომის ვეტერანები.

პრემიერ-მინისტრმა გულთბილი მისალმების შემდეგ ილაპარაკა იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში მიუძღვის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს. ითქვა, რომ ქართველ და აზერბაიჯანელ ვეტერანებს დღესაც დიდი წვლილი შეაქვთ საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრულ ურთიერთობათა განმტკიცებაში.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა სტუმრებს მოუთხრო რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პრემიერს გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის, განაცხადეს, რომ ორივე რესპუბლიკისათვის რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სამამულო ომის ვეტერანები ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ტრადიციული, მეგობრული ურთიერთობა.

**მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.**

## „ჩვენი ბედნიერება — საქართველოს ერთობაშია“!

### მემედ აბაშიძის საიუბილეო საღამო თბილისში



**უკვე** ათი დღეა, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობა ცხოვრობს ცნობილი ქართველი მამულიშვილის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურისა და ხელოვნების დღეების შთაბეჭდილებებით. ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის ტრიუმფალურ გასტროლებს, აჭარის მხატვართა საინტერესო გამოფენას, მხატვრული სიტყვის ოსტატების შეხვედრებს, საქართველოს მწერალთა კავშირში მოჰყვა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საიუბილეო საღამო, რომელიც მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავს მიეძღვნა.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ეწვია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფიღავა, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე გობრონიძე და შოთა ზოიძე, ქალაქ ბათუმის მერი თეიმურაზ კომახიძე, მემედ აბაშიძის შვილიშვილი — ნარგიზა აბაშიძე, შვილთაშვილები, აჭარის კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საიუბილეო საღამოზე მოვიდნენ: რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ქალაქ თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

საიუბილეო საღამო, რომლის პრეზიდიუმში იყვნენ უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, ქალაქ ბათუმის მერი თეიმურაზ კომახიძე, გახსნა მემედ აბაშიძის 120 წლისთავის სამთავრობო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, ირაკლი მენაღარიშვილმა.

მემედ აბაშიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოვიდა პროფესორი გურამ შარაძე. მან დამსწრეთ გააცნო სახელოვანი მოღვაწის შვილიშვილის — აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის გულითადი მისალმება და მადლობა ზეიმის მონაწილეებისადმი.

დარბაზში შეკრებილ საზოგადოებრიობას სიტყვით მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ: მართლაც დიდია მემედ აბაშიძის დამსახურება ჩვენი ერის წინაშე, — აღნიშნა მან — მისი მთავარი იდეა და მიზანი იყო საქართველოს მთლიანობა და ამას შეეწირა კიდეც. დღეს აჭარაში ახალ საფეხურზე ადის კულტურა, მეცნიერება, მიმდინარეობს მეტად აქტიური საეკლესიო მოღვაწეობა, რაშიც დიდ მხარდაჭერას ვხედავთ მემედ აბაშიძის შვილიშვილის — ასლან აბაშიძისაგან. ასე რომ, ჩვენ, კი არ უნდა მოვაქციოთ დღეს აჭარა, პირიქით, აჭარამ უნდა მოაქციოს მთელი საქართველო...

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, ქალაქ ბათუმის მერი თეიმურაზ კომახიძე, რომელმაც აჭარის დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელისუფლებას, დედაქალაქის საზოგადოებრიობას მემედ აბაშიძის დიდი ღვაწლის დაფასებისათვის.

საღამოზე არაერთხელ გაისმა ცნობილი სიტყვები: აჭარა ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება სრულიად საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი.

საიუბილეო საღამო დაამშვენა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტმა.

დიდი მოღვაწის — მემედ აბაშიძის საიუბილეო დღეები თბილისში გრძელდება.

**გია ჭელიძე.**

**თ. ნიკოლაიშვილის** ფოტო.

## „ვულოცავ ამ ისტორიულ თარიღს ჩემს ხალხს, ომის ყველა მონაწილეს, დაღუპულთა ოჯახებს...“

— **სულ 2-3** თვის წინათ რადიოინტერვიუს მძიმე ზამთარზე საუბრით ვიწყებდით. დღეს პირველი მაისია, დადგა გაზაფხულის ბოლო თვე. გასულ კვირას თქვენთან გამართულმა ენერგეტიკული საკითხებისადმი მიძღვნილმა თათბირმა ცხადყო, რომ ზამთრისათვის მზადებას მაინც არასტაბილური და იმპულსური ხასიათი აქვს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მომავალი ზამთარი გუბერნატორებს უფრო აწუხებთ, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. გასული კვირის ეკონომიკურ მიმოხილვაში, ალბათ, ესეც გასათვალისწინებელი მომენტი იქნება.

დღეს პირველი მაისია და არც ისე შორეულ წარსულში მას დიდ შრომითს მიღწევებს უძღვნიდნენ, იმართებოდა მშრომელთა სოლიდარობის დღის აღსანიშნავი დემონსტრაციები... — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ კითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა:

— **მინდა პირველი მაისი მივულოცო ჩვენს რადიომსმენელებს. პირველი მაისი ტრადიციული დღესასწაული იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ხოლო მის შემდეგ განსაკუთრებული სახე მიიღო. ჩემი აზრით, ზოგიერთი რამის დავიწყება არ შეიძლება, მაისი — მაისია, გაზაფხული — გაზაფხულია და ყოველთვის მოაქვს კეთილი გრძნობები, განწყობილება. ვისურვებდი, სწორედ ეს კეთილი განწყობილება დამკვიდრებულიყოს ჩვენს ხალხში.**

**რაც შეეხება განვლილ კვირაში ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს, აქ ისევ და ისევ ორი პრობლემაა ყველაზე ნათლად გამოკვეთილი — ენერგეტიკის პრობლემები და ბიუჯეტის საკითხი.**

**რადიომსმენელებმა პრესიდან იციან, რომ სახელმწიფოს მეთაურთან გაიმართა სპეციალური თათბირი ენერგეტიკის საკითხებზე. საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოების და უცხოელი პარტნიორების დახმარებით (მინდა აღვნიშნო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ბოლო დროს ძალიან აქტიურად ვიხილავთ ურთიერთობას რუსეთთან და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება) გარკვეული პერსპექტივები იქმნება ამ საარსებო მნიშვნელობის სფეროში კრიზისული ვითარების შენელებისა და მისი საბოლოოდ დაძლევისათვის. მაგრამ თვით ქვეყნის შიგნით კომპლექსის მესვეურებმა, წინა სეზონების მწარე გამოცდილების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ მოძებნეს მიზანსწრაფული და ეფექტიანი მუშაობის რიტმი და მეთოდები. სრულყოფილი არ არის მათი სამოქმედო პროგრამა, განსაზღვრული არა აქვთ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს პრობლემები, როგორი უნდა იყოს სარემონტო აგრეგატებისა და ობიექტების რიგითობა, არ არის საკმარისი საზღვარგარეთელ კრედიტორებთან მუშაობის ტემპი და სტილი. საქმიანობის რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობასთან ერთად შესაბამის უწყებებს მიეცათ დავალება, რომ უახლოეს დღეებში მოამზადონ სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებათა პროექტი ელექტროენერგიისა და გაზის საფასურის დავალიანების საკითხის იმგვარად მოგვარების თაობაზე, რომ საწარმოებმა შეძლონ მუშაობის განახლება, ახლად მოხმარებული ენერგიის ანაზღაურება და გარკვეული პერიოდის შემდეგ ძველ დავალიანებათა დაფარვა. ამ საკითხს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ამჟამად საქენერგოს 120-130 ტრილიონი კუპონი მართებს იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც მას გაზს, მაზუთს და სხვა ენერგომატარებლებს აწვდიან. ასეთივე ვითარებაა გაზის დეპარტამენტში და სხვ. ეს მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას, მთელ სახალხო მეურნეობასა და ეკონომიკას, პრაქტიკულად არ აძლევს გასაქანს წარმოებაში რეალური აღმავლობის დაწყებას. საკუთარ წარმოდგენათა ტყვეობაში არ უნდა მოვექცეთ, უნდა ვეძებოთ ახალი გზები იმისათვის, რომ ამოქმედდეს ეს უზარმაზარი კომპლექსი, რომელსაც სახალხო მეურნეობა ჰქვია და რომლის საფუძველი სწორედ ენერგეტიკა გახლავთ.**



გა...უხდელი ვალი სულ უფრო მატულობს და რაც [illegible] ლად კვლავწარმოებისათვის არავითარი საფუძველი აღარ არის.

მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან ენერგეტიკის სფეროში მუშაობის ყოველკვირეული შეჯამება სახელმწიფოს მეთაურის დონეზე გაიმართოს. ბევრი რამ არის დამოკიდებული სწორ ორგანიზაციაზე, რეზერვები უდავოდ გვაქვს და მუშაობის ახეთმა ფორმამ შეიძლება ერთგვარი სტიმული მისცეს საქმიანობის გამოცოცხლებას, მის ახალ დონეზე აყვანას. ეს იმდენად მწვავე პრობლემაა, რომ მოითხოვს ყველა ჩვენგანის ჩართვას და, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურის სისტემატურ მუშაობას.

წინა კვირის მოვლენებიდან აღვნიშნავდი დუშეთში გამართულ თათბირს მეცხვარეობის საკითხებზე, საიდანაც გარკვეული ოპტიმისტური განწყობილებით დავბრუნდი. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩვენი გუბერნატორების, სპეციალისტებისა და სახელმწიფო მოღვაწეების გამოსვლებმა. როგორც ჩანს, დარგის გადარჩენა და განვითარება სავსებით შესაძლებელია. მიუხედავად ყველაფრისა, მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა ცხვრის ის სულადობა (მე ვთქვი, რომ ეს გმირობის ტოლფასია), რომელიც საკმარისი იქნება დარგის აღორძინებისათვის უახლოესი 1-2 წლის განმავლობაში. ახლა ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული საქმის ორგანიზაციაზე. მხედველობაში მაქვს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, მხედველობაში მყავს მოსახლეობა. ჩვენ გვაქვს თითქმის 2 მილიონი ჰექტარი მთის საძოვრები, გვაქვს ბარის საძოვრებიც, გვეხმარებიან ჩვენი დაღესტნელი მეგობრები. ასე რომ, საქმე არც ისე უიმედოდ არის. ვიმეორებ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მუშაობის ორგანიზაციაზე.

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე პირველი კვარტალის ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტების შედეგების განხილვამ ცხადყო, რომ საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში მიღწეული ერთგვარი ძვრები დადებითი ტენდენციების დამკვიდრებაზე მიუთითებს. თუმცა, მდგომარეობა ჯერ კიდევ ძალიან მძიმეა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 1995 წლის 4 თვის საპროგნოზო მოცულობიდან გამომდინარე 27 აპრილისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი უნდა შეედგინა 79 ტრილიონი კუპონი. ფაქტობრივად, ეროვნულ ბანკში გახსნილი რესპუბლიკური ბიუჯეტის კუპონისა და ვალუტის ანგარიშებზე წლის დასაწყისიდან ჩარიცხულმა შემოსავალმა 56 ტრილიონი კუპონი ანუ საპროგნოზო მონაცემების 70 პროცენტი შეადგინა, ეს ციფრი ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება (ბოლო მონაცემები ჯერ არა გვაქვს), რადგანაც თანხების შემოსვლა ამ ბოლო დღეებში უფრო ინტენსიური იყო, თუმცა ვითარება დამაკმაყოფილებლად მაინც ვერ ჩაითვლება.

აპრილში უდავოდ შეიმჩნეოდა ბიუჯეტში საკუთარი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლის ჩარიცხვის ერთგვარი მატება. ბიუჯეტმა ამგვარი შემოსავლის შედეგად მიიღო თითქმის 6 ტრილიონი კუპონი, მაშინ როცა ჩვენ გაანგარიშებული და დაგეგმილი გვქონდა ოთხ ტრილიონ-ნახევარი კუპონი. ეს უკვე სერიოზული წინსვლაა. ამასთანავე კვლავ ჩამორჩენაა გრანტების სახით პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალში. ეს განსაკუთრებით ეხება კარაქისა და ზეთის რეალიზაციიდან შემოსულ სახსრებს. ამას არავითარი გამართლება არა აქვს. მინისტრთა კაბინეტის შესაბამისმა სტრუქტურებმა პასუხი უნდა აგონ იმისათვის, რომ ეს თანხები დღემდე არ შემოსულა ბიუჯეტში.

რაც შეეხება ხორბლისა და ფქვილის რეალიზაციიდან ფიქსირებულ გადასახადს, საგადასახადო ინსპექციის ცნობით, განვლილ პერიოდთან შედარებით შემცირდა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების თანხა. ამასთანავე ზოგან გაიზარდა დავალიანება, მაგალითად, თბილისის პურპროდუქტების კომბინატისა — 133 მილიარდი კუპონით (ამას რომ

(დასასრული მე-2 გვ.)

თათბირი

## მეცხვარეობა იყო და დარჩება საქართველოს ეკონომიკის ტრადიციულ დარგად

**29 აპრილს დუშეთში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მეცხვარეობის დარგის განვითარების საკითხებს. მოწვეული იყვნენ დარგის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, სამინისტროების, უწყებების, მთავრობის წარმომადგენლები, რაიონების გამგებლები, რეგიონებში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულები.**

**თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე.**

რესპუბლიკაში მეცხვარეობის დარგში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა ზ. გეგეჭკორმა.

უკანასკნელ წლებში მეცხვარეობაში რთული ვითარება შეიქმნა. კერძოდ, ჯერ კიდევ 1986 წლიდან დაიწყო ცხვრის სულადობის შემცირება და თუ 1985 წლის დამლევს რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობებში 2 მილიონამდე სული ცხვარი და თხა ირიცხებოდა, 1992 წლის პირველი იანვრისათვის იგი 1,5 მილიონამდე შემცირდა. ასეთივე უარყოფითი ტენდენცია შეინიშნებოდა ბოლო სამი წლის განმავლობაში. როგორც შედეგი — მიმდინარე წლის მარტის მდგომარეობით საზოგადოებრივ მეურნეობებში 962 ათასი სული ცხვარი და თხა დარჩა. შემცირდა მატყლისა და ხორცის წარმოება, მთელ რიგ მეურნეობებში გაუქმდა მეცხვარეობის ფერმები.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და კონცენტრირებული საკვების მწვავე დეფიციტით, მათი ღირებულების ზრდით, ზოგიერთ შემთხვევაში საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სიმცირითა და უქონლობით. სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულების კახეთისა და ზემო ქართლის რეგიონებში ლ. თედიაშვილისა და შ. ობგაიძის, დედოფლისწყაროს გამგებლის ბ. გონაშვილისა და სხვების გამოსვლებში აღინიშნა, რომ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს რაიონებში არსებული კრიმინოგენური ვითარება, რის გამოც მეცხვარე, ფაქტობრივად, დაუცველი აღმოჩნდა, ნიავდება საზოგადოებრივი ქონება. საჭიროა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გააქტიურონ მუშაობა დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, შეიმუშაონ კონკრეტული, რეალური ღონისძიებები, ხელმძღვანელმა მუშაკებმა კი მეტი პასუხისმგებლობით წარმართონ საქმიანობა.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება მეცხვარეობაში არსებული პრობლემების გადაჭრა და დარგის შემდგომი სწრაფი განვითარება. ეს ღონისძიებები, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებენ საზოგადოებრივ მეურნეობათა რეორგანიზაციის პროცესის დაჩქარებას, მათ სააქციო საზოგადოებად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად, აგროფირმებად, გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნის გზით; ცხვრის სულადობის, დამხმარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრივატიზაციას; წარმოების განვითარებას; პროდუქციის რეალიზაციისათვის პარტნიორების უფრო აქტიურ ძებნას, ყიზლარის საძოვრებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას და სხვ.

თათბირზე აღინიშნა, რომ აუცილებელია ახალ მესაკუთრეებს ჰქონდეთ სახელმწიფოს ყოველგვარი მხარდაჭერის საიმედო გარანტიები. ამასთან დაკავშირებით, სათანადო ორგანოების წარმომადგენლებს მიეცათ შესაბამისი დავალებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

ეკონომიკის, ფინანსების, პოლიტიკის, კონფლიქტების მოწესრიგების თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი მშენებლობის სფეროში ჯერჯერობით მოვლენები ისე ვითარდება, რომ მიმდინარე წელი შეიძლება გახდეს შემობრუნების წელი, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

დაიძრა აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების საქმე, თანდათანობით იგი საიმედო ნიადაგს ემყარება. ამ მიმართულებით, დიდ სამუშაოს ასრულებენ რუსეთის ხელმძღვანელობის ყველა ეშელონის წარმომადგენლები. ბუნებრივია, პროცესი რთული და მტკივნეული იქნება. სეპარატიზმი პოზიციებს იოლად არ დათმობს, მაგრამ არსებობს ყველა ბერკეტი იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ზეგავლენა საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის.

მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა საქართველო შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, შებრუნდა რუსეთთან სამეგობროდ, როცა პარაფირებულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ რუსეთს მიეცეს საშუალება, გარკვეული პერიოდით ჰქონდეს სამხედრო ბაზები, საქართველომ კი სანაცვლოდ მიიღოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს გვიჭერენ, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — ვერავითარ შედეგს ვერ მივიღებთ, თუ რუსეთი არ იტყვის საბოლოო სიტყვას.

არის იმედისმომცემი ტენდენციები პოლიტიკური სტაბილიზაციის, საზოგადოების გარკვეული კონსოლიდაციის საქმეში, მიმდინარეობს კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღება. დამთავრდა ქაოსის ეტაპი საფინანსო, საბანკო მეურნეობაში, განმტკიცდა ეროვნული გარდამავალი ვალუტა. გამოცოცხლდა წარმოება, ქვეყანამ დაიწყო ბიუჯეტით ცხოვრება.

სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა ის სერიოზული დადებითი ძვრები, რაც შეინიშნება ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ამასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამსახური, ამჟამად წარმოადგენენ იმ რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია სერიოზული ოპერაციების განხორციელება ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად.

ქვეყნის სტაბილურობის ფაზაში შესვლასთან ერთად, გამოჩნდა საერთაშორისო საფინანსო ცენტრებთან უფრო აქტიური თანამშრომლობის პერსპექტივები. აქტიურად თანამშრომლობს რესპუბლიკა მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. მჭიდრო კონტაქტები დამყარდა ევროკავშირთან, ევრობანკთან. უფრო დინამიკურ ხასიათს იძენს ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, გერმანიასთან, ირანთან, სხვა სახელმწიფოებთან. დიდი პერსპექტივები აქვს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას. აქტიურად იხილება ნავთობსადენის საქართველოზე გატარების საკითხი, მიმდინარეობს მუშაობა ენერგეტიკის პრობლემებზე, მათ შორის უცხოელ სპეციალისტებთან ერთად. ამ მხრივ ძალიან აქტიურად თანამშრომლობს ჩვენთან რუსეთის მხარე.

საქართველოში დაიწყო რეალური რეფორმები, — თქვა შემდეგ ე. შევარდნაძემ, — არა ისეთი, რომელსაც ადრე მიწის რეფორმა უწოდეს და, რამაც, პრაქტიკულად, დაანგრია სოფლის მეურნეობა. რეფორმები დაიწყო მას შემდეგ, რაც ქვეყანა დამშვიდდა. ეტაპობრივად მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი. ახალი ეტაპი უნდა დადგეს სოფლის მეურნეობაშიც. გადაწყდება მიწის საკუთრების, მიწის ყიდვა-გაყიდვისა და სხვა ძირეული საკითხები.

რაც შეეხება მეცხვარეობას, აღნიშნა ბატონმა ე. შევარდნაძემ, ამ დარგის განვითარება სახელმწიფოს კურსი იქნება. მეცხვარეობა იყო და დარჩება საქართველოს ეკონომიკის ტრადიციულ დარგად და სახელმწიფო ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

საჭიროა მეტი გაბედულება ახალი გზების ძიებაში, უნდა დავნერგოთ ისეთი ფორმები, რომლებიც მისაღებია სოფლების, მეურნეობებისათვის. მაგალითად, მიზანშეწონილად მიმაჩნია მსუბუქი გადამამუშავებელი მრეწველობის კოოპერაცია.

მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ სამრეწველო ობიექტების ხელმძღვანელებმა, მჭიდრო საქმიანი საგარეო კონტაქტები უნდა მყარდებოდეს სოფლების, რაიონების, ქალაქების დონეზე.

საქართველოს კარგი ურთიერთობა აქვს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, კერძოდ, დაღესტანთან, ჩრდილოეთ ოსეთთან. დარწმუნებული ვარ, ნორმალური, საქმიანი ურთიერთობანი განვითარდება ყველა ეროვნების წარმომადგენლებთან.

მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შეიძლება წარმატებების მიღწევა, — დასძინა დასასრულ ე. შევარდნაძემ. მან გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ უახლოეს მომავალში მეცხვარეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგი იქნება საქართველოს ეკონომიკაში.

თათბირის შემდეგ ბატონმა ე. შევარდნაძემ მოინახულა დუშეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების ბატალიონი, იყო ბაზალეთის ტბის მიდამოებში, სადაც პროექტით გათვალისწინებულია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო ინსტიტუტის აგება.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი — საქინფორმი.**

## მერვე სვეტი

### სამცხე-ჯავახეთის აღორძინებისათვის

**გუშინ** ახალციხეში გაიმართა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გამსვლელი სხდომა, რომელზეც განიხილეს სამცხე-ჯავახეთის მხარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამატებითი ღონისძიებები. მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამ მხარეში **ვალერი ბაქრაძე**. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, მინისტრები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ.

გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, მიიღეს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება სამცხე-ჯავახეთის მხარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ.

* * *

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი იმყოფება სამცხე-ჯავახეთში. მის რეპორტაჟს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

საქართველო-იტალია:

### მატიანის ისტორიული ფურცელი

**იტალიაში** საქინფორმის წარმომადგენლობის ცნობით, 28 აპრილს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიაში ბეგლარ თავართქილაძემ რწმუნების სიგელები გადასცა რესპუბლიკის პრეზიდენტს ოსკარ ლუიჯი სკალფაროს კვირინალეს სასახლეში — იტალიის სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციაში.

— ჩემთვის საქართველო თავისუფლების სიმბოლოა, — თქვა მიღების დროს ბატონმა სკალფარომ. — ბევრი ქართველი იბრძოდა ჩემი მშობლიური ქალაქის — ნოვარას განთავისუფლებისათვის. ბევრმა ქართველმა სიცოცხლეც კი შესწირა იტალიის თავისუფლებას. მე დიდად ვაფასებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს და მიმაჩნია, რომ ბატონი ედუარდი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსია. მისი ქვეყნის — საქართველოს საელჩოს გახსნა იტალიაში ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია.

— საქართველოს რესპუბლიკის საელჩო არ დაიშურებს ძალისხმევას ორ ქვეყანას შორის იმ საუკუნოვანი ურთიერთობის აღდგენისათვის, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა, — განაცხადა ბატონმა ბეგლარ თავართქილაძემ. — საამაყოა ის ფაქტიც, რომ მარსის მოედანზე რომაელებმა რაინდობისათვის ძეგლი დაუდგეს ქართველთა მეფეს, პირველი ქართული წიგნიც სწორედ იტალიაში დაიბეჭდა.

დღეს ჩვენ მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე ვდგავართ: დავამყაროთ და განვამტკიცოთ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები ორი ერის საკეთილდღეოდ.

საქართველოსა და იტალიის ურთიერთობის მატიანეში ახალი ისტორიული ფურცელი გადაიშალა.

### შეიქმნა ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო

**ორმხრივი** გენერალური კონტრაქტი, რომელიც ჩინეთის სეილუნდე ძიანის პროვინციის კომპანია სინიუანსა და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმს“ შორის დადო, მრავალ საინტერესო და სასარგებლო წინადადებას შეიცავს. ეს შეხვედრა უმაღლეს სამთავრობო დონეზე შედგა, ხოლო ხელმოწერის ცერემონია ხარბინის იმ სასტუმროში მოეწყო, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მიიღეს.

ჩინელებს არ ავიწყდებათ ეს შეხვედრა, ხოლო ამ ფაქტისადმი თავიანთი დამოკიდებულება შემდეგი სიტყვებით გამოხატეს: „გადაეცით ედუარდ შევარდნაძეს, რომ ჩინეთში ახსოვთ და უყვართ იგი“, — გვითხრა „ჭიათურმანგანუმის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. მახათაძემ. მან მაღალი შეფასება მისცა საქმიან კონტაქტებს, რომლებიც ხარბინსა და ჭიათურას შორის დამკვიდრდა.

—ჩინეთში ვიზიტის დროს, — თქვა შემდეგ მანგანუმის მომპოვებელთა თავკაცმა, — მიღებულ იქნა და წარმატებით ხორციელდება დოკუმენტების სამი პაკეტი. პირველ მათგანში ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმოს რეგისტრაციაა ფიქსირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში პირველად შეიქმნა ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო, რომელიც თბილისში განლაგდა. ეს მყარ საფუძველს ქმნის ორ სახელმწიფოს შორის საწარმოო, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ორმხრივი გენერალური კონტრაქტი უმთავრესად ბარტერული გაცვლის საკითხებს არეგულირებს.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
# განკარგულება
### მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

**მოწონებულ** იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წინადადება 1995 წლის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტიდან 750 მილიარდი კუპონის გამოყოფის შესახებ და სოციალურად დაუცველი ფენების ერთჯერადი დახმარებისათვის განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ომის ინვალიდებს, ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივებს, რომლებიც იღებენ მარჩენალის პენსიას, ამა წლის აპრილ-მაისში დამატებით მიეცემათ მატერიალური დახმარება 5 მილიონი კუპონის ოდენობით.
2. საქართველოს შემოქმედებითი კავშირების, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურად უკიდურესად დაუცველ თანამშრომლებს მათ მიერ წარმოდგენილი სიების მიხედვით მიეცეს თითოეულს 5 მილიონი კუპონი ერთჯერადი დახმარების სახით.
3. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველ მოქალაქეებს ინდივიდუალური წესით მიეცეთ 3 მილიონი კუპონი.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 28 აპრილი.

## საქართველო დაინტერესებულია ჩრდილო-ატლანტიკურ ასამბლეასთან მჭიდრო თანამშრომლობით

**27 აპრილს** საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩრდილო-ატლანტიკური ასამბლეის დელეგაცია საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის ლოიკ-ბუვარის ხელმძღვანელობით. საუბრისას აღინიშნა, რომ საქართველო დიდად არის დაინტერესებული ჩრდილო-ატლანტიკურ ასამბლეასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ქვეყანა მტკიცედ დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას, მიუხედავად უამრავი სირთულისა, სამოქალაქო ომისა და შინაგანი დაპირისპირების პირობებში მოხერხდა დემოკრატიული არჩევნების გამართვა. ამჟამად მთავრდება მუშაობა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტზე, რომლის შემუშავებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ექსპერტები. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ახალი კონსტიტუცია დემოკრატიულ ქვეყნებში აღიარებულ ნორმებს შეესაბამება. შეხვედრაზე ითქვა, რომ წლეულს ნავარაუდევია ახალი საპარლამენტო არჩევნების გამართვა.

ბატონმა ლოიკ-ბუვარმა მადლობა მოახსენა სახელმწიფოს მეთაურს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღებისათვის და ქმედითი დახმარება აღუთქვა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური ასამბლეის ასოცირებულ წევრად მიღების საქმეში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
# ბრძანებულება
### პოლკოვნიკ თ. მენაბდის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პოლკოვნიკი თამაზ მენაბდე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში.

ე. შევარდნაძე

1995 წლის 18 აპრილი.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
# ბრძანებულება
### გენერალ-მაიორ რ. ბიწაძის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გენერალ-მაიორი რაჟდენ ბიწაძე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

1995 წლის 18 აპრილი.

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
# ბრძანებულება
### პოლკოვნიკ ჯ. ქუთათელაძის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** პოლკოვნიკი ჯემალ ქუთათელაძე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილედ საბრძოლო მომზადების დარგში.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 28 აპრილი.

## საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის
# დადგენილება
### 1995 წლის 16 აპრილის საქართველოს პარლამენტის დეპუტატის არჩევნების შედეგების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა 1995 წლის 16 აპრილს გამართული არჩევნების შედეგები № 65 მარტვილის საარჩევნო ოლქში და დაადგინა:
— არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატად **დავით ილიას ძე ინჯია.**

გიორგი ზესაშვილი,
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

## საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის
# დადგენილება
### საინიციატივო ჯგუფისა და სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

**ცენტრალური** საარჩევნო კომისია **ადგენს:**

რეგისტრაციაში გატარდეს საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი სარეფერენდუმო საკითხი: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ 1937-78 წლების საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პრინციპებზე შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს, რომელიც საფუძვლად დაედება საქართველოს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას?“

და საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
1. ი. წიკლაური
2. ა. მირზოიანი
3. ჯ. გლუნჩაძე
4. დ. ალექსიძე
5. გ. პოზოვი
6. მ. კახოევი
7. გ. ფრიდონაშვილი
8. [illegible]
9. [illegible]

გიორგი ზესაშვილი,
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

# „ვულოცავ ამ ისტორიულ თარიღს ჩემს ხალხს, ომის ყველა მონაწილეს, დაღუპულთა ოჯახებს...“

დასასრული

ვაცხადებ, მხედველობაში მყავს დირექტორები, რომლებსაც, იმედია, ესმით, რასაც ვამბობ), თბილისის წისქვილკომბინატმა არ გადარიცხა 138 მილიარდი კუპონი, კვლავაც დიდი დავალიანება ერიცხებათ ქუთაისის წისქვილკომბინატს — 2 ტრილიონი კუპონი (აქ რაღაც ხდება, ასახსნელია, რაშია საქმე). მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ბატონები ლეკიშვილი, შაშიაშვილი, ბურჯანაძე და სხვები დღესვე იმსჯელებენ ამ საკითხებზე და სახელმწიფოს მეთაურს წარმოუდგენენ ანგარიშს, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს უწესრიგო და უდისციპლინო დირექტორებისა და ხელმძღვანელების მიმართ.

ამოღებული სახსრების გადიდების აუცილებელი პირობაა საგადასახადო და საბანკო ორგანოების მუშაობის გააქტიურება. საგადასახადო ინსპექციის ინფორმაციით, აპრილში შემოწმებული იყო გორის ხუთი საწარმო-ორგანიზაცია, რის შედეგადაც ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულია 51 მილიარდი კუპონი (წარმოგიდგენიათ? უნდა მიხვიდე ყველა ორგანიზაციაში, შეამოწმო, რაღაც აღმოაჩინო და აიძულო, რომ სახელმწიფომ წესითა და კანონით კუთვნილი თანხა მიიღოს), აქედან ფინანსური სანქციის სახით — 50 მილიარდი კუპონი. იმედი მაქვს, რომ შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი ბატონი ბადრი ხატიძე, რომელმაც ძალიან კარგად დაიწყო საქმიანობა, ამასთან დაკავშირებით დღესვე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თბილისის 51 ორგანიზაციაში შემოწმების შედეგად დამატებით დარიცხულმა თანხამ 240 მილიარდი კუპონი შეადგინა, აქედან სანქციების სახით 129 მილიარდი და ასე შემდეგ.

მივმართავ ქალაქ თბილისის გამგებლებს: თავად გაერკვნენ ყველა ობიექტზე შექმნილ ვითარებაში და მიიღონ გადამწყვეტი ზომები.

საბაჟო დეპარტამენტის ცნობით (მინდა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს), 26 აპრილისათვის რესპუბლიკის საბაჟო ორგანოებიდან საბაჟო გადასახადის, აქციზის, დამატებითი ღირებულების და სხვა გადასახადების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 600 მილიარდი კუპონი, 574 მილიონი რუბლი და მილიონზე მეტი ამერიკული დოლარი. კუპონებზე გადაანგარიშებით ეს თანხა 2 ტრილიონ 208 მილიარდ კუპონს შეადგენს შარშანდელი შესაბამისი პერიოდის 27 მილიარდი კუპონის ნაცვლად. ესე იგი, რამდენი იკარგებოდა და რამდენი რეზერვია! თუმცა თანხის ეს რაოდენობა იმის 30-40 პროცენტია, რისი ამოღებაც შეიძლება სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ (ეს კარგად იცის საბაჟო სამსახურმა), მაგრამ, რაც გაკეთდა, ძალიან ბევრს ნიშნავს და მინდა მხარი დავუჭირო სამსახურის ახალ ხელმძღვანელობას.

და კიდევ ერთი საკითხი. დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცალკეული პრობლემებისადმი, ცალკეული დარგებისადმი კონკრეტულ და საქმიან მიდგომას. მაგალითად, რესპუბლიკის ბამბის ბოჭკოს გადამამუშავებელი საწარმოები დიდ სიძნელეებს აწყდებიან ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში. რესპუბლიკაში შექმნილი ამ რთული ვითარებიდან გამოსვლის რეალურ გზას წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის 17 აპრილის განკარგულება საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ამუშავების შესახებ, რომლის მიხედვითაც საწარმოებს გადაეცემა სახელმწიფო რეზერვში არსებული 900 ტონაზე მეტი ბამბის ბოჭკო. ამით შეიქმნება საწარმოთა ამოქმედებისა და სტაბილური მუშაობის რეალური პერსპექტივა. ამ პრობლემის მოგვარებით ათასობით ადამიანია დაინტერესებული. 600 ტონაზე მეტ ნედლეულს უწინარესად მიიღებს საფეიქრო წარმოების ფლაგმანი — გორის ბამბეულის კომბინატი, რომლის გადამუშავების შედეგად სულ გამოშვებული იქნება 2 მილიონ-ნახევარი მეტრი ბამბის ქსოვილი და მთელი წლის განმავლობაში გაუნაწილდება რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობის 81 ფაბრიკას. ესე იგი, ამუშავდება 81 ფაბრიკა. გარდა ამისა, თვით გორის კომბინატს შესაძლებლობა მიეცემა საკუთარი წარმოებისათვის გამოიყენოს მილიონი მეტრი ბამბის ქსოვილი და შეასრულოს მიმდინარე წლის შეკვეთები. თბილისის სართავი ფაბრიკა მიიღებს 300 ტონაზე მეტ ბამბის ბოჭკოს. გადამუშავების შედეგად გამოშვებული იქნება 266 ათასი ტონა ბამბის ნართი, რომელიც სათანადო პროდუქციის დასამზადებლად მიეწოდება მსუბუქი მრეწველობის დარგის 24 ფაბრიკას, ესე იგი, კიდევ 24 ფაბრიკა ამუშავდება.

საგულისხმოა, რომ ამ დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიების შედეგად ამოქმედდება რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობასთან კოოპერირებული საწარმოები, სულ გამოშვებული იქნება 6 ტრილიონზე მეტი ღირებულების პროდუქცია. სხვათა შორის, ბატონმა კერესელიძემ მომახსენა, რომ მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მარტში ერთნახევარჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე იანვარ-თებერვალში ერთად აღებული. აპრილში კი, წინასწარი მონაცემებით, ტრილიონით მეტი პროდუქციაა გამოშვებული, ვიდრე მარტში. ესე იგი, ტენდენცია უკვე გამოიკვეთა, თუმცა დღეს მინისტრს მივეცი ზოგიერთი შენიშვნა იმის გამო, რომ უნდა გქონდეთ ყოველდღიური მონაცემები.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ცნობით, 27 აპრილისათვის ფაქტობრივად მოხნულია 460 ათასი ჰექტარი, ანუ იმის 70 პროცენტი, რაც უნდა მოიხნას. ხვნა გრძელდება და ვფიქრობთ, რომ საპროგრამო მონაცემები შესრულდება. იგი შარშანდელზე 3-4-ჯერ მეტია.

ცხოველური ცხიმების დეფიციტის დასაფარავად მიმდინარე წელს, შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა მზესუმზირის ნათესი ფართობები. მინდა ამას მხარი დავუჭირო. დათესილია 45 ათასი ჰექტარი, რომლის ნახევარზე მეტი დედოფლისწყაროზე მოდის. საერთოდ, ამ რაიონის გამართული, ინიციატივიანი, საქმიანი მუშაობა დიდ სიხარულს იწვევს ისევე, როგორც სიღნაღისა და სხვა რაიონების მუშაობა.

ხორბალი უნდა დაითესოს 200 ათას ჰექტარზე, უკვე დათესილია 65 ათასი. ვფიქრობთ, საკონტროლო მონაცემი შესრულდება.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები მევენახეობაში. მართალია, მევენახეობის რაიონებს ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ რეზერვებიც აქვთ და ისინი უნდა გამოცოცხლდნენ.

დღეს მინისტრთა კაბინეტის გამსვლელი სხდომაა სამცხე-ჯავახეთში, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ამ რეგიონის ყველა რაიონი. ვფიქრობ, მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი მიიღებენ საჭირო და აუცილებელ გადაწყვეტილებებს, რათა აქაც მოხდეს სერიოზული ძვრები.

მიმდინარე კვირაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მოცემული რაოდენობრივი ლიმიტების დაცვის მიზნით ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხა გარკვეული რაოდენობის კუპონური სახსრები. ამ თანხის ძირითადი ნაწილის კონვერტაციას ეროვნული ბანკი ბანკთაშორისი ბირჟის მეშვეობით ახდენს. აქედან გამომდინარე, იგი კუპონის სავალუტო კურსზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნულმა ბანკმა ამ კვირაში გაყიდა მილიონ 144 ათასი ამერიკული დოლარი. კურსი იმავე დონეზე რჩება: 1 დოლარი — მილიონ 300 ათასი კუპონი.

ოთხშაბათს გამართულ ვაჭრობაზე დაფიქსირებული რუსული რუბლის კურსი ასეთია: ერთი რუბლი — 262 კუპონი. პარასკევის ვაჭრობაზეც კურსი იმავე დონეზე დარჩა.

ასეთია ის ძირითადი მონაცემები, რომლებიც გასული კვირის მუშაობის შედეგების მიხედვით დამახასიათებელია ჩვენი ეკონომიკისათვის.

— ბევრი რამ შეიცვლება იმის გამო, რომ გუშინდლიდან გაძვირდა ბენზინი — ლიტრის ფასმა 2.500 რუბლს მიაღწია...

— ამას მე თვალყურს ვადევნებ. წუხელვე მოვითხოვე სათანადო ახსნა-განმარტება და როგორც მომახსენეს ბატონმა ზუბიტაშვილმა და სხვებმა, მათი ანალიზის მიხედვით, ეს ძირითადად ბენზინის ნაკლებობით არის გამოწვეული. როგორც მათ მითხრეს, ახლა საკმაო რაოდენობით შემოვიდა ბენზინი როგორც ფოთში, ასევე აზერბაიჯანიდანაც. ჩემი აზრით, გაძვირება დროებითი მოვლენა უნდა იყოს. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთ ცვლილებებსა და გარკვეულ აფეთქებებს, ალბათ, ვერ ავცდებით. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ უნდა გაიხსნას ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში გამავალი სატრანსპორტო არტერია (ჩვენი წარმომადგენლები მუშაობენ ამ საკითხზე მოსკოვში), ქვეყანაში ბენზინისა და სხვა საწვავის შემოტანა უფრო რეგულირებადი გახდება.

— განვლილ კვირას საქართველოს ეწვია რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. რუმინეთი შავი ზღვის აუზის ქვეყანაა და, აქედან გამომდინარე, ჩვენ საერთო ეკონომიკური ინტერესები გვაქვს. რამდენიმე დღეში კი გვესტუმრება სავალუტო ფონდის გენერალური დირექტორი ბატონი კონდესიუ...

— რუმინეთი, ისევე როგორც რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, თურქეთი და სხვა ქვეყნები, უწინარესად დაინტერესებულია შავი ზღვის გავლით ტვირთის ტრანსპორტირებით. მინისტრთან სერიოზული საუბარი გვქონდა კონსტანციისა და საქართველოს საზღვაო ნავსადგურებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ეს მუშაობა დაიწყო, მაგრამ გაფორმებული არ არის. საქმე უაღრესად პერსპექტიულია ისევე, როგორც, მაგალითად, ბურგასის, ვარნის, ტრაპიზონის, სტამბოლის, ილიჩოვსკის, რა თქმა უნდა, ნოვოროსიისკისა და ოდესის თანამშრომლობა ბათუმთან და ფოთთან. ამ თანამშრომლობით, ურთიერთობის მოწესრიგებით, როგორც ადრე აღინიშნა, დაინტერესებული არიან ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის გარკვეული საქმიანი წრეები, სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნები. ყველაფერი ეს შეესაბამება ჩვენს ინტერესებს, რადგან ტვირთი გაივლის და გადაკვეთს საქართველოს, რამაც საგრძნობი შემოსავალი შეიძლება მოუტანოს ჩვენს ბიუჯეტს. ამიტომ მინისტრის აქ ჩამოსვლას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. ვისაუბრეთ აგრეთვე რუმინეთის პრეზიდენტის ბატონ ილიესკუს საქართველოში ვიზიტის დაჩქარების შესახებ. ჩვენ ასეთი პრინციპული შეთანხმება უკვე გვაქვს (პრეზიდენტსაც სურს ეს, მეც ვარ მიპატიჟებული რუმინეთში). შევთანხმდით, რომ, თავდაპირველად, სასურველია მისი აქ ჩამოსვლა, მას გარკვეული საქმეები აქვს აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ჩემი აზრით, ეს სერიოზული და საინტერესო მისია იქნება.

რაც შეეხება ბატონ კონდესიუს ჩამოსვლას, ეს უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ვაშინგტონში ვიზიტის დროს ჩემს რეზიდენციაში მესტუმრა ბატონი კონდესიუ კოლეგებითურთ და საკმაოდ დიდი და საინტერესო საუბარი გაიმართა. მე სწორედ მაშინ მოვიწვიე იგი საქართველოში, მან პირობა მომცა და სასიამოვნოა, რომ ეს პირობა შესრულდა.

მსოფლიო ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში სავალუტო ფონდის ადგილსა და როლზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრალური საერთაშორისო ორგანიზაციაა. საქართველოსათვის ბატონ კონდესიუს ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო კრედიტებისა და ფინანსური დახმარების თვალსაზრისით, არამედ, იმ უზარმაზარი გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისითაც, რომელიც ჩვენი პლანეტის მასშტაბით აღიარებულ ამ დიდ მოღვაწეს გააჩნია.

— გასულ კვირას თბილისსა და კახეთში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაცია განახორციელა. დააკავეს რამდენიმე საშიში დამნაშავე, ჩამორთმეულია დიდძალი იარაღი. როგორც იტყობინებიან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები ამ ოპერაციას კახეთში მოჰყვა...

— რადიომსმენელებმა უკვე იციან, რომ ამგვარი ოპერაცია დედაქალაქში პირველად არ განხორციელებულა, სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით ასეთი ღონისძიებები ადრეც ყოფილა. ობიექტური დაკვირვება ასეთია: დედაქალაქში წესრიგი მყარდება. ამას ყველა გრძნობს. მივესალმები შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქის პოლიციისა და ქალაქის მერიის აქტიურ მიზანსწრაფულ მუშაობას. უნდა ვთქვა, რომ ამ უწყებებს იქ, სადაც ეს შესაძლებელია, დიდ დახმარებას უწევენ უშიშროების ორგანოები, თავდაცვის სამინისტრო, მაგალითად, ტექნიკის გამოყოფით და სხვ. რა თქმა უნდა, ასევე დიდმნიშვნელოვანია პროკურატურის მუშაობაც.

დედაქალაქში, განსაკუთრებით ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ბევრი თავაწყვეტილი ბოროტმოქმედის თარეში აღიკვეთა. მინდა მხარი დავუჭირო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერაციებს კახეთში, რომელსაც პირადად მინისტრი მეთაურობდა. ბანდიტებმა და მკვლელებმა გაწამეს კახელები. მარტო საქვეყნოდ ცნობილი მაღლენაძე და მისი თანამზრახველებისა და მფარველების ნამოქმედარი რად ღირს — ეს არის დახოცილი ადამიანები, ამოწყვეტილი ოჯახები და სხვ. მოვა დრო და საზოგადოება ყველაფერს გაიგებს ამის თაობაზე. მკვლელთა ეს ჯგუფი, რომელსაც რუსეთის ტერიტორიაზეც მრავალი სასტიკი დანაშაულობანი აქვთ ჩადენილი, იზოლირებულია რუსეთისა და საქართველოს პოლიციის ერთობლივი ძალისხმევით.

გუშინდელ ღონისძიებებს უდავოდ მაღალ შეფასებას ვაძლევ. ათობით საშიში დამნაშავე, რეციდივისტი და ძებნილია დაკავებული. არ გამოვრიცხავ, რომ ხვალ თელავში რეგიონის ხელმძღვანელებთან და მოსახლეობის წარმომადგენლებთან ერთად შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ კვირაიას ინფორმაციას მოვისმენთ. მჯერა, რომ კახეთში სანიმუშო წესრიგი დამყარდება, ყველას თავისი მიეზღვება. ახლა მთავარია, გამოძიებამ თბილისშიც, კახეთშიც, გურიაშიც და სხვა რეგიონებშიც, სადაც ეს ღონისძიებები განხორციელდა, თავისი სიტყვა თქვას. დამნაშავე, სადაც უნდა ჰყავდეს მას მფარველები, შეძლებულ ფენებში თუ პარლამენტში (პარლამენტის ერთი ნაწილი ხომ ამ მხრივ სახელგანთქმულია), უნდა წარდგეს და პასუხი აგოს კანონის წინაშე.

— მომავალი კვირის 9 მაისს თქვენ მოსკოვში შეხვდებით, იქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეთაურები ერთად იზეიმებთ ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავს. ამ დღეს სხვებთან ერთად ელიან საქართველოში მცხოვრები ვეტერანებიც, ადამიანები, რომლებსაც აკლიათ არა მარტო სახსრები, არამედ ყურადღებაც, სითბოც და ელემენტარული თანადგომაც კი. ხშირად ვამბობთ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავი მთელი მსოფლიოსათვის აღსანიშნავი დღეა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს ასე არ ჩათვალა, გული ატკინა იმათ შთამომავლობას, ვინც ამ ომს შეეწირა, ვეტერანებს, რომლებიც დღეს ჩვენს გვერდით არიან...

— ერთხელ კიდევ ვულოცავ ამ ისტორიულ თარიღს ჩემს ხალხს, ომის ყველა მონაწილეს, დაღუპულთა ოჯახებს, მადლიერების, თანაგრძნობის, თანადგომის, თაყვანისცემის სიტყვებით მივმართავ მათ. არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გამოვხატო აღფრთოვანება, გნებავთ, ადამიანური გაოცება იმ გმირობის გამო, საქართველოს შვილების სახელთან რომ არის დაკავშირებული. 700 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა ამ ომში და 300 ათასზე მეტი შინ არ დაბრუნებულა, გმირულად დაიღუპა. მათი სახელები წმინდაა და წმინდა იქნება. ისტორია კიდევ იტყვის თავის სათქმელს. მინდა ვთხოვო ჩემს მეგობრებს, ვეტერანებს; იყავით სულგრძელნი, ნუ უსმენთ ცალკეულ უმადურთა და უგუნურთა ლაყბობას. სამშობლო ამაყობს თქვენით და რაც უფრო დავცილდებით სამამულო ომის დღეებს, მით უფრო ნათელი შარავანდედით განათდება თქვენი გმირობა და თქვენი ცხოვრება.

გილოცავთ!

## კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალები დარჩებიან?

[illegible] მაისს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თამაზ ნადარეიშვილმა მიიღო გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენლები ჯეფრი გლასმანი, რიო ლოვიერი და სხვები.

საუბარში სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ორ კვირაში გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების საკითხს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში 18-თვიანი ყოფნის დროს პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა ლტოლვილთა დაბრუნებისათვის. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი პროაფხაზურად არის განწყობილი და ბევრ შემთხვევაში დახმარებასაც უწევს აფხაზ სეპარატისტებს.

საუბრის დასასრულს აღინიშნა, რომ მანდატის გაგრძელების შემთხვევაში აუცილებელია სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში მოხდეს გარკვეული ცვლილებები.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

## ტრადიცია უნდა გაგრძელდეს

**თავდაცვის** სამინისტროს ოფიცერთა სასახლეში რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით მოეწყო ფაშიზმზე გამარჯვების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ირაკლი მენაღარიშვილმა, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერ-მინისტრის სახელით დამსწრე საზოგადოებას მიულოცა მოახლოებული დღესასწაული.

შემდეგ მოხსენება გააკეთა შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ტრისტან ჩინჩალაძე-შვილმა, რომელმაც ილაპარაკა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ფრონტზე ქართველი მეომრების ვაჟკაცობასა და თავდადებაზე. მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ეტაპები გაშუქა და დაახასიათა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გიორგი ანჩაბაძემ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ფარნაოზ ლომაშვილმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ძველბერძნულ წყაროებს, რომლებშიც აღწერილია ქართული სამხედრო ტრადიცია. საქართველოს პარლამენტის პოლიტოლოგიისა და დემოკრატიული აღმშენებლობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ღვთისავარ არჩემაშვილი შეეხო ომის პერიოდში ქართული პრესის მიერ გაწეულ პროპაგანდისტულ მუშაობას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მებრძოლების სულისკვეთების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი თემების მრავალფეროვნება და მის მუშაობაში ქართული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელთა მონაწილეობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართველი ხალხის დამსახურება ფაშიზმის დამარცხებაში ჯერ კიდევ კვლევის საგანია.

გურამ სოზაშვილი

## საბარათო აუქციონი
# ვაუჩერს ნუ გაჰყიდით, მალე ფასი დაედება

**საქართველოში** ვაუჩერების დარიგება დაიწყო. როგორც სოციოლოგიური გამოკითხვა მოწმობს, მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, რა არის ვაუჩერი, რაში გამოიყენოს იგი, რა პრივილეგიებს აძლევს ეს ბარათი მის მფლობელს და ასე შემდეგ. თბილისის შავ ბაზარზე კი უკვე გამოჩნდა პირველი ვაუჩერი. ჯერ მისი საბაზრო ფასი 18 ამერიკული დოლარის შესაბამისი რუსული რუბლი იყო, შემდეგ თანდათან 10-დან 7 დოლარამდე დაეცა.

ჯერჯერობით დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ნაადრევია, მაგრამ თუ შავ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს მივადევნებთ თვალს, ნათლად დავინახავთ, გამოტანილი ვაუჩერების რაოდენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მისი მუქთად ხელში ჩაგდების მსურველი, ასე ვთქვათ, აქ უკვე ფუტკარივით ირევა. რაც, მტკიცებას თუ არა, იმის ვარაუდის საშუალებას მაინც იძლევა, რომ ვფიქრობთ, იგი მომავალში საკმაოდ ხმამაღალ განაცხადს გააკეთებს. (მას ფასი დაედება). ვისაც დღესვე გადაუწყვეტია საპრივატიზაციო ბარათის თავიდან მოშორება, რაღაცაზე მაინც უნდა მიანიშნებდეს.

ახლო მომავალში საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) მეშვეობით მოსახლეობას პრივატიზების პროცესში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობა მიეცემა. როგორც დადგენილია სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე შექმნილი სააქციო საზოგადოებების აქციების არანაკლებ 35 პროცენტი (ზოგ შემთხვევაში შეიძლება მეტიც) სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სპეციალიზებულ საბარათო აუქციონის, საბარათო კონკურსის ან საბარათო აუქციონის მეშვეობით მხოლოდ საპრივატიზაციო ბარათებზე (ვაუჩერებზე) გაიყიდება. ეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აუქციონზე გამოტანილი რესპუბლიკის ნებისმიერი საწარმოს აქციების შეძენის უფლებას აძლევს.

რა არის საბარათო აუქციონი?

რატომ არის ვაუჩერის მფლობელისთვის მასში მონაწილეობა ხელსაყრელი? კითხვაზე პასუხი რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, ამ საქმის სპეციალისტთან სააქციო-კომერციული ბანკის „ლიბერაბანკის“ ვიცე-პრეზიდენტის **ლაშა გოგილავას** დახმარებით შევეცდებით მის განმარტებას.

საბარათო აუქციონის მთავარი მიზანი და დანიშნულებაა მაქსიმალურად შემცირდეს პრივატიზების ვადები, რომ საწარმომ, ერთი მხრივ, რაც შეიძლება სწრაფად გაყიდოს თავისი აქციები. მეორე მხრივ, ვაუჩერის მფლობელს იმ ორგანიზაციის მოძებნაში, სადაც მისთვის ვაუჩერის დაბანდება ხელსაყრელი, დრო არ დაეკარგოს.

ამ თვალსაზრისით საბარათო აუქციონი, ორივე მხარეს, მყიდველსაც და გამყიდველსაც აძლევს ხელს.

აუქციონზე საწარმოთა აქციებს გაყიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო.

გამყიდველი წინასწარ ამზადებს და აქვეყნებს ინფორმაციას წარმოდგენილი საწარმოებისა და მათი აქციების თაობაზე. ამ ინფორმაციაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული სააქციო საზოგადოების დასახელება, აქციების საერთო რაოდენობა, აქციის მინიმალური ღირებულება, აუქციონზე გამოტანილი აქციების რაოდენობა და მისი ნომინალური ღირებულება, თუ რამდენი აქცია გაიცემა ერთ საპრივატიზაციო ბარათზე.

აუქციონზე დაიშვებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც დაიცავენ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის კანონით მითითებულ მოთხოვნებს.

აუქციონის მონაწილე გამყიდველს, ვისაც საწარმოს აქციები გამოაქვს გასაყიდად, წარუდგენს ერთ უპირობო ან ორ პირობიან განაცხადს. უპირობო განაცხადში ნაჩვენებია საპრივატიზაციო ბარათების რაოდენობა, ესე იგი, იგი თანახმაა აუქციონზე თითოეული საპრივატიზაციო ბარათის ნაცვლად მიიღოს აქციების ნებისმიერი რაოდენობა.

პირობიან განაცხადშიც მოცემულია საპრივატიზაციო ბარათების რაოდენობა იმ განსხვავებით, რომ მასში იმ აქციების მინიმალური რაოდენობაა მითითებული, თითოეული საპრივატიზაციო ბარათის სანაცვლოდ მიღებაზე რომ თანხმდება აქციების მყიდველი.

აუქციონზე თავდაპირველად დაკმაყოფილდებიან იმ იურიდიული პირებისა თუ ორგანიზაციების განაცხადები, ვისაც მეტი ვაუჩერი (საპრივატიზაციო ბარათი) აქვთ.

იმისთვის, რომ აუქციონზე ვაჭრობა ორგანიზებულად გაიმართოს, იქმნება საინვესტიციო ფონდები, რომლებიც საკუთარი აქციების ხარჯზე ყიდულობენ ვაუჩერებს და ამით მონაწილეობენ აუქციონებში. საინვესტიციო ფონდებმა მოზიდული ვაუჩერების 90 პროცენტი აუცილებლად უნდა გამოიტანოს აუქციონზე და დააბანდონ სხვადასხვა საწარმოთა აქციებში, ეს კანონით გათვალისწინებული ნორმაა და აქციონერთა დაცვის ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს.

იმის თაობაზე, თუ რა არის საინვესტიციო ფონდი, რა უპირატესობას ანიჭებს იგი ვაუჩერის მფლობელს თუ იგი თავის ბარათს ამ ფონდს მიანდობს, მომავალში გვექნება საუბარი.

შოთა მაჭარაშვილი.

## აზერბაიჯანიდან გვატყობინებენ:

### ნავთობპროდუქტები გაძვირდა

**19 აპრილიდან** აზერბაიჯანში გაძვირდა გადაუმუშავებელი ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ფასების მომატების შესახებ გადაწყვეტილება ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ მიიღო რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებსა და სათბობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

ამიერიდან ტონა გადაუმუშავებელი ნავთობი ეღირება 200 ათასი, ლიტრი ბენზინი აი-96—1300, აი-92 და აი-93 — 1100, აი-76 და აი-72 — 1000 მანეთი.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაძვირებასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში გაძვირდება აგრეთვე დანარჩენი ენერგოშემცველებიც, მომსახურება, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი...

### რას იტყვის სასამართლო?

**ბაქოში** მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ქალაქების შუშისა და ლაჩინის სომხეთის ჯარისათვის ჩაბარების გამო. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან რესპუბლიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი გენერალი რაჰიმ გაზიევი და კიდევ შვიდი სამხედრო მოსამსახურე.

პროკურორმა გარაჰან აღაევმა ექსმინისტრს ბრალად დასდო ის, რომ მან ყველა საშუალება არ გამოიყენა ქალაქ შუშის დასაცავად. მასვე ბრალდება 25 მილიონი რუსული მანეთისა და 500 ათასი ამერიკული დოლარის მითვისება. პროკურორმა დამნაშავის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. სახელმწიფო ბრალმდებელმა 12 წლის პატიმრობა მოითხოვა მოხალისეთა ბატალიონის ყოფილი მეთაურის ნაილ ქიზიმოვისათვის, 3 წლის პატიმრობა მინისტრის ყოფილი ქეშიკის რუსლან ბაირამზადესა და ამდენივე წლის პირობითი პატიმრობა სამხედრო მოსამსახურის ნადირ აზიმოვისათვის. დანარჩენი ოთხი პატიმრის საქმე სამხილების სიმცირის გამო დაუბრუნდება საგამოძიებო ორგანოებს დამატებითი გამოძიებისათვის.

### სად გაივლის ტრასა?

ახლა აზერბაიჯანის უმაღლეს ინსტანციებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული იმისათვის, რომ განსაზღვრონ რესპუბლიკიდან ნავთობსადენის გაყვანის კონკრეტული მარშრუტი. განიხილავენ ყველა არსებულ ვარიანტს (სპარსეთის ზღვის ყურისაკენ, სპარსეთზე ან სომხეთზე გავლით — თურქეთისაკენ, ჩრდილოეთ კავკასიზე გავლით — ნოვოროსიისკისაკენ და საქართველოზე გავლით — თურქეთისაკენ).

ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტმა ნათიქ ალიევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აღნიშნული ვარიანტებიდან აზერბაიჯანის მხარეს ყველაზე ოპტიმალურად მიაჩნია ნავთობსადენის არტერიის გაყვანა ხმელთაშუა ზღვისკენ. რუსეთის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ იქნება გათვალისწინებული რუსეთის ინტერესები, რომელიც მოითხოვს ნავთობსადენის ნოვოროსიისკის მიმართულებით გაყვანას, პრეზიდენტმა უპასუხა: „რუსეთს შეუძლია მოითხოვოს ის, რაც მას სურს, მაგრამ ნავთობს პატრონი ჰყავს და ის გადაწყვეტს თავის პრობლემებს“.

დიმიტრი გულისაშვილი
საქინფორმის კორ.

## „ორბი“: ნაბიჯი საბაზრო ურთიერთობისკენ

**საქართველოს** „ორბის“ ავიაკომპანიამ დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის მხარესთან „ბოინგის“ ტიპის „ჯ-757-200“ ორი თვითმფრინავის ლიზინგის შესახებ მათი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით. ავიალაინერების საერთო ღირებულება 15 მილიონი ამერიკული დოლარია.

— საკითხის დადებითად გადა- [illegible] ბაზიშვილმა, — არა მარტო მკვეთრად ამაღლდება მგზავრთა მომსახურების, არამედ ფრენის უსაფრთხოების დონეც. „ორბის“ სურვილი, შეიძინოს „ბოინგის“ ტიპის თვითმფრინავები, გამოწვეულია საერთაშორისო ავიახაზებზე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის გასვლით.

რაც შეეხება ავიახაზებს [illegible] სათბობისა და ტექნიკური მოწყობილობის საბაზრო ფასებზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კომპანიის საზღვარგარეთელ პარტნიორებზეც, რომლებთან ერთადაც სადღეისოდ ვმუშაობთ მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, თელ-ავივის, სტამბოლის, სალონიკის, ვენის, პრაღის, პარიზის ავიამარშრუტებზე. უახლოეს მომავალში [illegible] ასათვისებლად, — აღნიშნა ვ. ჯამბაზიშვილმა, — ჩვენმა 12 პილოტმა და ამდენივე ბორტგამცილებელმა გაიარა სპეციალური ხელახალი მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში „ბოინგის“ სერტიფიცირებულ ბაზაში.

ჩვენმა კომპანიამ პარკის განახლების დაწყებასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა თბილისში გახსნას საკომპიუტერო და სერვისის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საკუთარი ცენტრა- [illegible]

## ქართველ მეცნიერებს გადაეცათ აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძის სახელობის მედლები

**აკადემიკოსი** ალექსანდრე ნადირაძე იყო გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი კოსმონავტიკის დარგში. მეცნიერის მოღვაწეობა საბჭოთა პერიოდში გასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გახდა საზოგადოებრიობი- [illegible] ვტიკის რუსეთის ფედერაციამ მისი სახელობის მედალი დააწესა.

კოსმონავტიკის რუსეთის ფედერაციის ბიუროს წლევანდელი 17 მარტის გადაწყვეტილებით, ქართველ მეცნიერთა ღვაწლის აღსანიშნავად, აკადემიკოს ა. ნადირა- [illegible]

## სხვათა გამოცდილება

**ბოლო ხანებში** ქართულ პრესაში ისრაელზე ხშირად იბეჭდება. საერთოდ ამ პატარა ქვეყანამ მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. იგი თითქმის მაღალგანვითარებული ქვეყნების მეტოქე გახდა და მალე ალბათ გაუთანაბრდება კიდეც, რადგან მას დიდი მიღწევები აქვს მეურნეობრიობის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ნეცევიარის სოფლის მეურნეობის მეცნიერების საცდელი სადგურის მეხიმინდეობის განყოფილებაში ამ ბოლო წლებში გამოყვანილი სიმინდის ახალი ჯიშიდან ჰექტარზე საშუალოდ 100-150 ცენტნერზე მეტი მიიღეს. მწვანე მასის რაოდენობამ კი 200 ცენტნერს მიაღწია, რაც თითქმის მსოფლიო რეკორდია.

სადგურის მეცნიერ-მუშაკებისა (25 კაცი) და დამხმარე პერსონალის (50 კაცი) დიდი გარჯის შედეგია ისიც, რომ სიმინდის ახალი ჯიშების ჰიბრიდებიდან, რომლებიც საექსპორტოდ გააქვთ, საცდელ სადგურს ყოველწლიურად 800 ათასი დოლარი შემოსავალი აქვს.

ამ და სხვა წარმატებათა „საიდუმლოება“ წარმოებისა და მეცნიერების მჭიდრო ურთიერთობა, მიწის სიყვარული და შრომისმოყვარეობა. საყურადღებოა ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში დიდ წარმატებას ისრაელმა საკმაოდ მცირე დროში მიაღწია. საქმე იქამდე მივიდა, რომ აქ შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ქართველი სპეციალისტებისათვისაც მუდამ გულღია მასპინძელია. ამ ცენტრიდან ქართველ სპეციალისტთა კიდევ ერთი ჯგუფი დაბრუნდა. მისი ხელმძღვანელი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი **რევაზ დონაძე**. ვფიქრობთ, მასთან ინტერვიუ, ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის, საინტერესო იქნება.

# გულგახსნილი მასპინძელი

[illegible] ...ვითარების ცენტრი „ცინადკო“.

ხსენებული პროგრამის შესაბამისად ორ წელიწადში ისრაელში უკვე კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის, მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების 60-ზე მეტმა პრაქტიკოსმა და მეცნიერმა სპეციალისტმა.

ჩვენი ჯგუფის სტაჟირების თემა იყო „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია და მართვა“.

**— საერთაშორისო ცენტრი მაინც და მაინც ისრაელში რატომ მოეწყო, ნათქვამს კიდევ ხომ არაფერს დაუმატებდით?**

— ამ შეკითხვაზე უფრო კომპეტენტური პასუხის გაცემა ცენტრის ორგანიზატორებსა და მის დამფინანსებლებს შეუძლიათ. მე მხოლოდ პირადი შთაბეჭდილებებიდან მოგახსენებთ. ისრაელს აქვს ყველა პირობა, რომ აქ საერთაშორისო განვითარების ცენტრმა წარმატებით იმუშაოს.

**— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ისრაელის აგროსამრეწველო კომპლექსის წარმატება და დღეს რა ამოცანების წინაშეა?**

— რაც შეეხება წარმატებას, მისი ძირითადი ბერკეტებია: სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მარკეტინგის წვლილი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. სოფლის მეურნეობის განვითარების უპირველესი ფაქტორებია აგრეთვე ნიადაგისა და წყლის რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება, მუშაკთა მაღალი პროფესიულ-ტექნიკური დონე, მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთობის საუკეთესო სისტემა, სამეურნეო საქმიანობისადმი ეკონომიკური მიდგომა და, რაც მთავარია, ყველა დარგში და ყველა უბანზე შემოქმედებითი ენთუზიაზმი.

[illegible]

**— თქვენ 1984 წლის ინფლაცია ახსენეთ. მოდით ისიც ვთქვათ, ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა დღეს და ვის ეკუთვნის მიწა ისრაელში?**

— დღეისათვის ისრაელში ინფლაცია მხოლოდ 9-10 პროცენტამდეა, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება მიწას, იგი სახელმწიფო საკუთრებაა და თვალისჩინივით უფრთხილდებიან მას. მიწას მხოლოდ იჯარით გასცემენ, თანაც იმდენს, რამდენის დამუშავებასაც ესა თუ ის ოჯახი შეძლებს. საშუალოდ აღებულია ოთხი ჰექტარი. მიაჩნიათ, რომ უფრო მეტის დამუშავება ოჯახს გაუჭირდება, ოთხი ჰექტარი კი მუდამ ნაყოფიერი იქნება. თუმცა, თუ შეამჩნიეს ვინმეს, რომ მიწას აცდენს, მაშინვე ჩამოართმევენ და გადასცემენ სხვას. ერთი სიტყვით, ისრაელში მიწის კულტია. თვალისჩინივით უვლიან და უფრთხილდებიან მას... მიწის პრივატიზაცია გამორიცხულია, ფიქრადაც კი არავის მოსდის.

**— ხო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. წეღან გთხოვეთ ორიოდ სიტყვით ისრაელის დღევანდელ ამოცანებზე გვეთქვათ.**

— მას ოთხი ძირითადი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. ეს გახლავთ: თავდაცვისუნარიანობა, რეპატრიანტთა მიღება-განსახლება, თანამედროვე ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შექმნა და სოციალური სამსახურების მაღალი დონის შენარჩუნება. რომ იცოდეთ, ისრაელის სახელმწიფო ყველა ამ ამოცანას წარმატებით წყვეტს. ამის დასადასტურებლად, ალბათ, საკმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი საშუალოდ 10000 დოლარია, მსუბუქი ავტომანქანა კი 15000 დოლარი ღირს.

**— სოციალური უზრუნველყოფის რომელმა კანონმა მიიქცია თქვენი ყურადღება?**

— ისრაელში ყველაზე ძლიერი კანონი არის სინდისი და პატიოსნება. უნდა ითქვას, ეს „კანონი“ ყველგან და ყველაფერში იგრძნობა და იგი ძალიან დიდი წარმატებით მუშაობს.

**— კეთილი და პატიოსანი, დავუბრუნდეთ ისევ სოფლის მეურნეობას. ცნობილია, რომ მეურნეობრიობის ძირითადი ფორმებია, „კიბუცები“ და „მოშავები“. ქვეყანა თითქმის ამაზეა დაყრდნობილი. რას წარმოადგენენ ისინი?**

— ერთიც და მეორეც სოფლის ტიპის დასახლებებია. მათ ხელშია ძირითადი დარგები. კიბუცები სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებია, მათი რაოდენობა ქვეყანაში 480-მდეა. თითოეულში 800-850 წევრი და კანდიდატია. ერთი შეხედვით აქ სამხედრო დისციპლინაა. არც არის გასაკვირი, რადგან კიბუცები ყოფილი სამხედრო დასახლებებია. ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებშია განლაგებული. მათ თანდათანობით ეკონომიკური ფუნქცია შეიძინეს და დღეს აგროსამრეწველო პოტენციალში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მათ რეგიონული და რაიონული მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების მძლავრი ცენტრები აქვთ. კიბუცები თავისი მეურნეობრიობით თავდაპირველად ჩვენებურ კომუნებს ჰგავდნენ და შემდგომ საბჭოთა მეურნეობების მსგავსი სტრუქტურები შეიძინეს. კიბუცებში შრომის ანაზღაურება ნატურით ხდება...

მოშავები კი კოოპერატიული ტიპის სამეურნეო გაერთიანებებია. მიწა საერთო აქვთ, ბინა და ინვენტარი კი საკუთარი. ყველაზე მეტად გავრცელებულია კერძო კოოპერატიული სახის მოშავები — ოვდიმები. მათი რაოდენობა ქვეყანაში 410-ია. არაბებით დასახლებულია მხოლოდ 43. ოვდიმის წევრები ადრე 10 ჰექტრამდე მიწას ფლობდნენ, ახლა კი საშუალოდ 3-4 ჰექტარი აქვთ. როგორც ისინი ამტკიცებენ, მიწის ეს რაოდენობა უფრო რენტაბელურია.

მოშავის წევრები იძულებული არიან თავიანთი პროდუქცია — პური, რძე, კვერცხი, ქათმის ხორცი, მარცვლეული, ბენზინი და სხვა პროდუქტები მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებში გაყიდონ. ისე, რომ თვითნებურად ფასების დადება გამორიცხულია; ამას კანონი სასტიკად კრძალავს.

მეტად საინტერესოა აგრეთვე სამრეწველო-სავაჭრო კოოპერაცია „ტნუვა“. მის საქმიანობას წარმართავს დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული საბჭო და საკონტროლო კომისია. „ტნუვას“ ნებადაურთველად აკრძალულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება და რეალიზაცია. დამრღვევებს მკაცრ ფინანსურ სასჯელს ადებენ და საქმე ზოგჯერ გაკოტრებამდე მიდის. გაკოტრებას კი ამჯობინებენ, რომ კანონს დაემორჩილონ.

თავის მხრივ ეს სახელმწიფო კოოპერატიული გაერთიანებები მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ მომხმარებლის სურვილები პროდუქციის მიწოდების, ადგილის, დროისა და ფასების განსაზღვრისას. ისინი ორგანიზაციას უკეთებენ აგრეთვე წარმოების გარდაქმნის ღონისძიებებს მომხმარებელთა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. ყოველი ასეთი გაერთიანების საბჭოში, როგორც წესი, ირჩევენ 2-3 წევრს მომხმარებლებიდან.

**— მაინც როგორია იქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები?**

— შარშან ლიტრი რძე ღირდა ერთი დოლარი, კილოგრამი ფრინველის ხორცი — 4, პური — 2, ყველი — 4 დოლარი და ასე შემდეგ.

**— უფრო გასაგები რომ იყოს, ამ ფასებთან ერთად, ალბათ, მინიმალურ ხელფასზედაც უნდა ვთქვათ.**

— ისრაელში მინიმალური თვიური ხელფასი 600 დოლარია. სოფლის მეურნეობის ერთი მუშაკი კვებავს 20 კაცს. სხვათა შორის, ჩემს ისრაელელ კოლეგას ხელფასი თვეში 1500 დოლარი აქვს. ბელორუსიელს 25 დოლარი, ხოლო ჩემი ხელფასი თვეში 0,75 ცენტია. ასეთი სხვაობის მიუხედავად ჩვენ მაინც დავმეგობრდით...

**— რას გვეტყოდით ისრაელის ეკონომიკურ სამსახურზე?**

— სახელმწიფოში მას წამყვანი ფუნქცია აკისრია. იგი პასუხს აგებს დაგეგმარებისა და ეკონომიკური ანალიზის დარგებზე. დიდად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს თავის ხელიდან არ გაუშვია და ბედის ანაბარად არ მიუტოვებია დაგეგმვის, ანალიზისა და პროგნოზირების დარგები. ეს კი სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების დანერგვასთან ერთად წარმატების ერთ-ერთი საფუძველია. სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების სწორად გამოყენებისა და ინვესტიციების მიზნობრივად წარმართვის შედეგად, ისრაელის სახელმწიფო დღეს ერთიანი სამშენებლო მოედანია. აშენებენ მხოლოდ საუკეთესო არქიტექტურული პროექტებით, უმაღლესი, საშვილიშვილო ხარისხით, საოცარი გულმოდგინებითა და ენთუზიაზმით. მშენებლობასა და, საერთოდ, ცხოვრების ყველა სფეროს საუცხოო დიზაინი ამშვენებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის მეცნიერების განვითარების, დანერგვის კოორდინატორი და მისი ძირითადი დამფინანსებელი. საყურადღებოა, რომ ამ და სხვა სამინისტროებში ზის ფინანსთა სამინისტროს ინსპექტორი და აკონტროლებს, როგორ სრულდება ფინანსური ოპერაციები. ასეთივე დავალებითა და მიზნით ყველა კომერციულ ბანკში მუშაობს სახელმწიფო ბანკის ინსპექტორი.

ძლიერ საყურადღებოა, რომ ყოველივე ეს ხდება საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები მტკიცედ ახორციელებენ სოციალური პროგრამების დაფინანსების ღონისძიებებს და ამასთანავე, არეგულირებენ, ხელს უწყობენ და იცავენ კერძო ბიზნესის საქმიანობასა და ინტერესებს.

**— დაბოლოს, ერთი ტრადიციული შეკითხვა: ისრაელში ყოფნის დროს ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე რამ მოახდინა?**

— თუ ვინმეს არ გავაღიზიანებ, მინდა კვლავ შევჩერდე ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, ხაზი გავუსვა სახელმწიფოს როლსა და მისი სტრუქტურების მაღალ ორგანიზებულობას, აგროსამრეწველო კომპლექსი სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფო-ადმინისტრაციული მეთოდებით კი არ ერევა, არამედ უნარიანად იყენებს საკანონმდებლო, ეკონომიკურ და საკონტროლო ბერკეტებს. იგი ცხოვრების სხვა სფეროშიც მყარ ნიადაგზე დგას. ამიტომ, გრძნობ, რომ ხარ ჭეშმარიტ სახელმწიფოში, სადაც ჯარი თავის ფუნქციას ასრულებს, პოლიცია თავისას, ეკონომიკური სტრუქტურები თავისას და ყველაფერ ამას სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა აერთიანებს. ერთი სიტყვით, ყველა და ყველაფერი თავის ადგილზეა.

თქვენ წარმოიდგინეთ, რეკლამებიც კი. ისინი ისრაელში ძალზე ბევრია, მაგრამ არ მინახავს სახლის კედლებსა და ბოძებზე, ვიტრინის მინებსა თუ სხვა შეუფერებელ ადგილას გაკრული. ყველა რეკლამას თავისი სპეციალური ფართი და სტენდი აქვს. ისრაელში ერთ თვეს დავყავით, ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე უბადრუკი სავაჭრო ჯიხური. არ ხდება სახლებზე მახინჯი ლოჯიების მიშენება. არ შეწყვეტილა წყალი, არ გამორთულა ელექტროენერგია და გაზი. არც უხამსი ეროტიკული ტელეპროგრამა და გაზეთი გვინახავს.

ისრაელიდან ასეთი შთაბეჭდილებით ვბრუნდებოდით, თითქოს იქ უკვე განხორციელებული ვნახეთ ის, რაზეც ათეული წლების წინათ ჩვენს ეგრეთ წოდებულ „დიად“ ქვეყანაში ვოცნებობდით.

საუბარი ჩაიწერა

**როლანდ ბასილაშვილმა.**

---

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

### ჩეჩნეთი: ცეცხლის შეწყვეტის მორატორიუმი — მრავალგანზომილებიანი ჩანაფიქრი

[illegible] ...თლებად.

შეერთებული შტატები, ისევე როგორც დასავლეთის სხვა წამყვანი ქვეყნები, დაჟინებით მოუწოდებენ ოფიციალურ მოსკოვს მოლაპარაკების გზით რაც შეიძლება მალე გადაჭრან ჩეჩნეთის პრობლემა. ვაშინგტონში არ მალავენ, რომ „რუსეთის უხეშ შეცდომად“ თვლიან ჩეჩნეთის კონფლიქტს. თუმცა, ჩეჩნეთის პრობლემას რუსეთის საშინაო საქმედ აღიარებენ.

შექმნილ რთულ ვითარებაში პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ოფიციალურად ჩეჩნეთში ყოველგვარი სამხედრო მოქმედების შეწყვეტის ორკვირიანი მორატორიუმი გამოაცხადა. გაიცა განკარგულება მხოლოდ თავდასხმის შემთხვევაში გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი. ჩეჩნეთის ლიდერმა ჯოხარ დუდაევმა არ დაუჭირა მხარი მორატორიუმს, მოითხოვა რუსეთის ჯარების ჩეჩნეთიდან დაუყოვნებლივ გაყვანა, ლტოლვილი მოსახლეობისათვის დაბრუნების პირობების შექმნა თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს მორატორიუმის გაგრძელებას მას შემდეგ, როცა მისი მოქმედების ვადა ამოიწურება, მოლაპარაკების გზით ჩეჩნეთის პრობლემის გადასაწყვეტად.

ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება რუსეთის პრეზიდენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე სერგეი კოვალიოვი, რომელიც მკაცრად გმობს ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედების დაწყებას, რუსეთის ჯარის მოქმედებას. კოვალიოვი პირადად რამდენჯერმე იმყოფებოდა ჩეჩნეთში. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ — სახელმწიფო სათათბირომ კოვალიოვის განცხადებები ცილისწამებად მიიჩნია და გაათავისუფლა იგი სათათბიროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

სერგეი კოვალიოვი ვაშინგტონში შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწეს უშიშროების საკითხებში ლეიკს, სახელმწიფოს მდივნის მოადგილეს ტელბოტს, ამერიკის კონგრესის წევრებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. იგი აპირებს გაუზიაროს მათ თავისი მოსაზრებები ჩეჩნეთსა და, კერძოდ, რუსეთში შექმნილ ვითარებაზე. მან ადრე უკვე განაცხადა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა რუსეთისათვის დამახასიათებელი გახდა.

პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა კვირას კვლავ მოუწოდა რუსეთის ხელმძღვანელებს გადაწყვეტილება ჩეჩნეთში მორატორიუმის შესახებ მიიჩნიონ, როგორც ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების დასაწყისი.

### რეფერენდუმი ყაზახეთში

**ყაზახეთში** გამართულ რეფერენდუმში, რომელიც იხილავდა პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის უფლებამოსილებათა ორი ათას წლამდე გაგრძელებას, მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 95 პროცენტზე მეტმა. მონაწილეთა თითქმის 94 პროცენტმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გაგრძელებას. მარტში ასეთივე რეფერენდუმი მეზობელ უზბეკეთის რესპუბლიკაშიც გაიმართა, სადაც ორი ათას წლამდე უფლებამოსილებათა ვადა გაუგრძელდა პრეზიდენტ კარიმოვს, ხოლო უფრო ადრე თურქმენეთში პრეზიდენტ ნიაზოვს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მიიჩნიეს დემოკრატიის გზიდან ერთი ნაბიჯით უკან დახევად. თუმცა ბევრი იმასაც აღნიშნავს, რომ ნაზარბაევს უდიდესი ავტორიტეტი გააჩნია და მეტოქეებიც რომ ყოლოდა, წინ ვერავინ დაუდგებოდა. თვით პრეზიდენტმა ნაზარბაევმა აბსურდულად მიიჩნია ოპოზიციის ბრალდება ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენისაკენ მისწრაფების შესახებ. ნაზარბაევმა თქვა, რომ იგი დემოკრატიის მომხრეა, მაგრამ საბჭოთა წყობილებიდან გარდამავალ რთულ პერიოდში, დემოკრატიის დასავლური გაგება მხოლოდ გაართულებდა ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლას, ამჟამად უპირველესი ამოცანაა დანგრეული ეკონომიკის აღდგენაო.

### გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ მემარჯვენე-ცენტრისტულ კანდიდატს

**საფრანგეთის** საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით პარიზის მერი ჟაკ შირაკი ათი პროცენტით უსწრებს პოპულარობაში მის მეტოქეს, სოციალისტური პარტიის წარმომადგენელს ლიონ ჟოსპენს. მოელიან, რომ კვირას, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, იგი უეჭველად გაიმარჯვებს.

### ჩეჩნეთის საკითხს აუცილებლად განიხილავენ

**ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნიკოლას ბერნსმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანი კრისტოფერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი 10-11 მაისს სახელმწიფო დეპარტამენტში განიხილავენ მოსკოვში ორი ქვეყნის პრეზიდენტის საუბრების საკითხთა მთელ დიაპაზონს. მან თქვა, რომ ამ საკითხთა შორის არის ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორიცაა ევროპის უშიშროება, აგრეთვე რუსეთ-ირანის ურთიერთობა ბირთვულ გარიგებასთან დაკავშირებით, ბოსნიის პრობლემა, ჩეჩნეთში ჰუმანიტარული დახმარების სფეროში ამერიკელი ექსპერტის ფრედიკიუნის დაკარგვის საკითხი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში ჩეჩნეთის პრობლემა იქნებაო.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

### ვინ ეძებს მკვლელებს?

**მოსკოვი, 28 აპრილი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი).** ვლადისლავ ლისტიევის მკვლელობის საქმის გახსნის ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფში იტარ-საკდესის კორესპონდენტს დღეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემითაც კი დაემუქრნენ; თუ იგი უარს იტყოდა დაესახელებინა ინფორმაციის წყაროები. რეპორტიორს, რომელიც დაკითხვაზე გამოიძახეს მოწმედ, მოუწია შეეხსენებინა გამომძიებლისათვის „პრესის შესახებ“ კანონის დებულებები, რომელთა თანახმადაც, ჟურნალისტი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, არის ვალდებული, დაასახელოს წყაროები.

ჩვენების მიცემისას იტარ-საკდესის კორესპონდენტს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ამ საქმის გამო, ჟურნალისტთა დაკითხვა მიმდინარეობს გამოძიების მიერ თავის რიგებში იმ პირების გამოვლენისა და დასჯის მიზნით, ვისაც გადაუცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, თუნდაც რაიმე ცნობა, ისეთიც კი, რომელიც გამოძიებას ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს. და რადგან, მოკლული ტელეჟურნალისტის საქმის ირგვლივ უკვე არსებობს პუბლიკაციათა რამდენიმე ტომი, ეს სამუშაო საკმაოდ ხანგრძლივი იქნება. იბადება ასეთი კითხვა: ასეთ დროს ვინ დაუწყებს ძებნას ვლადისლავ ლისტიევის მკვლელებს?

ამ ტრიალ ქვეყანაზე

---

## საქართველოს პარლამენტში

### გადაისინჯება პარლამენტის დადგენილება ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებთან დაკავშირებით

**საქართველოს პარლამენტი გადახედავს მის მიერ თითქმის თვენახევრის წინათ მიღებულ დადგენილებას, რომელმაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ტელევიზიის კოლექტივში. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ახლახან გამართულმა პარლამენტის კოლეგიის სხდომამ, რომელზეც მოწვეული იყო საქტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარე არჩილ გოგელია.**

როგორც სხდომაზე აღინიშნა, პარლამენტის 22 მარტის დადგენილების შემდეგ ტელევიზიაში შეიქმნა დაძაბული ვითარება. „მეოთხე ხელისუფლების“ წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ პირველი ხელისუფლება ერთობ უხეშად ერევა მათ საქმიანობაში. მიზეზს წარმოადგენს დადგენილება ოფიციალური საინფორმაციო საშუალებებით პარლამენტის მუშაობის გაშუქების თაობაზე, რომლითაც, კერძოდ, დადგენილია ტელევიზიით ოფიციალური ინფორმაციის გაშვების რიგითობა. ბატონ არჩილ გოგელიას მიაჩნია, რომ ამ დადგენილებით სხვადასხვა უწყებათა პრესცენტრებს უფლება მიეცათ თავისი დიქტატი მოახვიონ ტელევიზიას. საქტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელმა პარლამენტის კოლეგიას გააცნო დღეს ტელევიზიის წინაშე მდგარი პრობლემები. საქტელერადიოს კორპორაციის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ პარლამენტს შეუძლია მოითხოვოს სწორი და მართალი ინფორმაციის გადაცემა და ამ საკითხზე დადგენილებაც მიიღოს, ხოლო, თუ როგორ მიიტანს ტელევიზია ინფორმაციას მაყურებლამდე, ეს არავის კარნახით არ უნდა ხდებოდეს. და საერთოდ, უკეთესი იქნებოდა, თუკი პარლამენტი განიხილავდა და მიიღებდა კანონს ტელევიზიის შესახებ, რომელიც თითქმის ერთი წლის წინათ გადაეცა შესაბამის საპარლამენტო კომისიას.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან ბერიძემ თითქმის ყველა პარლამენტარის აზრი გამოხატა, როცა თქვა, რომ დადგენილება კეთილი სურვილით იყო მიღებული — დახმარებოდნენ ტელეჟურნალისტებს უტყუარი ინფორმაციის მოპოვებასა და გადაცემაში, და არავითარ შემთხვევაში იგი გამიზნული არ იყო ტელევიზიაზე დიქტატის განსახორციელებლად. აღინიშნა, რომ შეცდომა იქნა დაშვებული, როცა დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად არ მიიწვიეს ტელევიზიის ხელმძღვანელობა.

ხანგრძლივი განსჯისა და კამათის შემდეგ პარლამენტის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა შესაბამისმა კომისიებმა განიხილონ მიღებული დადგენილება და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გასატანად მოამზადონ მისი ახალი რედაქცია.

**ნინო თათრულაიძე,**

საქინფორმის კორ.

---

პოზიცია

# პოლიტიკური ამბიციები და საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული

**დანაშაული ჩადენილია ქართველი ხალხის მიმართ. რაც მთავარია, იგი ჩაიდინა თვით ქართველმა ხალხმა, ან ყოველ შემთხვევაში, მისმა ნაწილმა, როდესაც აჰყვა ქუჩის პოლიტიკოსებს. სამწუხაროდ, მათ არათუ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ პოლიტიკაზე, არამედ, როგორც წესი, საკმაოდ შორს არიან უბრალო ლოგიკური აზროვნებისგანაც, მათი მსჯელობის ძირითადი იარაღი დემაგოგიაა.**

**პირველად** საკითხი ეხება, ენერგომშენებლობის პრობლემებს საქართველოში, და კერძოდ, ხუდონისა და სხვა ჰიდროსადგურების მშენებლობას. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გამოვედი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც ვთქვი: არ არსებობს დედამიწის ზურგზე ერი, რომლისთვისაც განვითარებულ ქვეყანას შეეთავაზებინოს უსასყიდლოდ ელექტროსადგურის მშენებლობა და ამ ერს უარი ეთქვას. ასეთი, ჩვენდა საუბედუროდ, აღმოჩნდა მარტო ქართველი ხალხი. დიახ, ხუდონსა და ნამახვანს, ფაქტობრივად, უფასოდ გვიშენებდა რუსეთი, ჩვენ კი თავი მოვიკალით, დავხურეთ ეს მშენებლობები და რუსეთმა ეს თანხები, რა თქმა უნდა, სხვაგან გადაიტანა. ძირითადი მოტივი, რომელსაც ეყრდნობოდნენ ოპოზიციონერები, იყო ის, თითქოს ხუდონი და ნამახვანი დიდ ზიანს მოუტანდა გარემოს. თურმე წყალსაცავი არის სინესტის წყარო და ენგურჰესის, ჟინვალისა და შაორის წყალსაცავების გამო მოსახლეობას აღარ ეცხოვრება იმ რაიონებში, აღარ შრება სარეცხი, ინგრევა ნიკორწმინდის ეკლესია და ერისთავების კოშკი, წყლით იფარება სავარგულები და ა. შ.

მსოფლიოში ბევრი წყალსაცავია, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური და მათ ნაპირას არაერთი ისტორიული ძეგლია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, არსად იმ ძეგლებს არაფერი არ მოსვლია. რა რაოდენობის წყალი უნდა აორთქლდეს წყალსაცავიდან, რომლის ფართობიც 9 კვ. კილომეტრია და რა ზიანი უნდა მიაყენოს ამ აორთქლებამ გარემოს, როდესაც იქვე არის წყლის უზარმაზარი რეზერვუარი — შავი ზღვა, რომელიც არეგულირებს ჰავას მთელ კავკასიაში. საერთოდ ცნობილია, რომ წყალსაცავის არსებობა ხელს უწყობს ჰავის გათანაბრებას, რათა კლიმატი ზამთარში ზედმეტად ცივი და ზაფხულში ძალზე ცხელი არ იყოს. ეს სასკოლო ასაკის ბავშვებმაც იციან. კარგად არის ცნობილი ისიც, რომ ჰიდროსადგურები, სხვა სახის ელექტროსადგურებთან, ვთქვათ, თბო ან ატომურ სადგურებთან შედარებით, გაცილებით უფრო ნაკლებად აჭუჭყიანებენ გარემოს. გაცილებით ნაკლებად-მეთქი ვამბობ, იმიტომ, რომ გარემო ჭუჭყიანდება ბევრი რამით და მათ შორის ადამიანის მოქმედებითაც. რა თქმა უნდა, სასურველი არ არის სავარგულების ან ტყის ფართობების წყლით დაფარვა და მომავალი წყალსაცავის ზონიდან ხალხის გადასახლება. მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ რუსეთის დაბლობებისგან განსხვავებით, ჩვენში წყლით იფარება საკმაოდ ღრმა ხეობები და ამიტომ აქ დაჭაობება გამორიცხულია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყლით დაფარვა ხდება მდინარეების ზემო დინებაში, სადაც არც ჩაის პლანტაციებია, არც ვენახები და არც სხვა რაიმე ძვირფასი კულტურა, მაგრამ დავუშვათ, მეტად საჭირო ფართობი დაიფარა წყლით, სამაგიეროს ვიღებთ არსებობისათვის ასე აუცილებელ ელექტროენერგიას.

ასე დატოვეს ხალხი უენერგიოდ, სიცივესა და სიბნელეში ჩვენმა ე. წ. პოლიტიკოსებმა ჭვანიამ, წერეთელმა, ბარამიძემ და სხვებმა. მათ მხარი აუბა ზოგიერთმა მწერალმა და მეცნიერმა. პრობლემად იქცა პურის გამოცხობა, ბავშვებისათვის საჭმლის მომზადება.. აღარაფერს ვამბობ მრეწველობის და ტრანსპორტის მოშლაზე. როგორ გვინდა განვავითაროთ ეკონომიკა, თუ არ მუშაობს მრეწველობა და ტრანსპორტი?

ჰიდროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ბრძოლამ, რომელიც ისტერიაში გადაიზარდა, იქამდე მიგვიყვანა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ენგურის კაშხალზე გაჩნდა შეიარაღებული ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებმაც განაცხადეს, კაშხალი უნდა ავაფეთქოთო. როცა გააცნობიერებინეს, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთი გრანდიოზული ნაგებობის აფეთქებას, მაშინ პერსონალს უბრძანეს წყალი გაეშვათ.. და დაიწყო წყლის დაღვრა. ხედავთ, სანამდე შეიძლება მივიდეს სიბრიყვე და ველურობა? როგორ არ გაგახსენდეს ეპიზოდი „წყნარი დონიდან“, როდესაც გლეხებმა პროკოფი მელეხოვის მეუღლეს კუდიანობა დასწამეს, გვალვა მას დააბრალეს და ცოცხლად დამარხვა მოუნდომეს. დღეს ეს პოლიტიკოსები მაინც არ იტეხენ ისტიბარს, ამბობენ, სულერთია, ხუდონის სადგურის აშენებას საბჭოთა კავშირი ვერ მოასწრებდა, იგი შემდგომში დაიშლაო. კი, მაგრამ, ის, რასაც მოასწრებდა, ხომ გაგვიადვილებდა ამ სადგურის მშენებლობის გაგრძელებას. სამწუხაროდ, მარტო ხუდონსა და ნამახვანს არ უტევდნენ. ასეთივე გამოხდომები იყო ჟინვალჰესის და აირგამტარის მშენებლობის წინააღმდეგაც, ალბათ, ახლა იტყვიან, სულ ერთია, აირი გადაკეტეს და რაღად გვინდოდა აირგამტარის მშენებლობაო.

ამ წერილის მიზანი მარტო იმის გარჩევა არ არის, თუ რა მოხდა. მთავარია, რა გამოსავალი შეიძლება მოინახოს შექმნილი მდგომარეობიდან. შარშან საქენერგოს დავალებით შესრულდა სამუშაო საქენერგოს ოპტიმალური სტრუქტურის დასადგენად, ე. ი. თუ რა ტიპის ელექტროსადგურები უნდა აშენდეს მომავალში.

საქართველოს ენერგეტიკის მდგომარეობა საყოველთაოდ ცნობილია, ამჟამად რესპუბლიკის ენერგოსისტემას შესაძლებლობა არა აქვს თუნდაც ნაწილობრივ დააკმაყოფილოს გაზრდილი მოთხოვნილება. მომავალში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება იმის გამო, რომ ენერგორესურსები და, კერძოდ, ბუნებრივი აირი რესპუბლიკაში, ჯერჯერობით, არ მოიპოვება, იმპორტირებული რესურსები კი თანდათან სულ უფრო ძვირდება. გვინდა თუ არ გვინდა, მოსახლეობა სახლის გასათბობად თუ კერძის მოსამზადებლად ელექტროენერგიას მოიხმარს.

საკითხი ასე დგას — არსებული ან გამოყოფილი თანხების ფარგლებში მწყობრში შევიყვანოთ რაც შეიძლება მეტი სიმძლავრე ან მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ენერგია. განვიხილოთ მესამე პრობლემაც — მივიღოთ სიმძლავრეებისა და ენერგიის წინასწარი დადგენილი სიდიდე მინიმალური თანხების დახარჯვით.

ენერგოსისტემის ოპტიმალური სტრუქტურის დადგენა, ანუ იმის გარკვევა, თუ რა ტიპის ელექტროსადგურები უნდა აშენდეს, რათა მივიღოთ საუკეთესო მაჩვენებლები, შეუძლებელია ზეპირი მსჯელობის საშუალებით, რაც უნდა მაღალი კვალიფიკაცია ჰქონდეს მსჯელობაში მონაწილეს. ოპტიმალური სტრუქტურა შეიძლება დადგინდეს, მხოლოდ და მხოლოდ, მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, რაც გულისხმობს სათანადო მოდელის შექმნას და ამ მოდელზე ამოცანის ამოხსნას კომპიუტერის საშუალებით.

ნებისმიერი, და მათ შორის საქართველოს, ენერგოსისტემისათვის ოპტიმალური სტრუქტურის დადგენა ნიშნავს, თუ რა სახის ელექტროსადგურებით და რა სიმძლავრეებით უნდა იყოს წარმოდგენილი მომავალი ენერგოსისტემა. ყველა ტიპის ელექტროსადგურს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები. მაგალითად, ჰიდროსადგურები მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე, ვთქვათ, თბოსადგურები. სამაგიეროდ, აშენების შემდეგ იძლევა თითქმის უფასო ენერგიას. რამდენიმე მცირე სიმძლავრის ჰიდროსადგურის მშენებლობა გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე მათი ნაკრები სიმძლავრის მქონე ერთი დიდი ჰიდროსადგურისა, ატომური სადგურის მშენებლობა კი გაცილებით უფრო ძვირი, ვიდრე ჰიდროელექტროსადგურისა. (ამასთან, მისი ექსპლუატაცია, განსაკუთრებით რუსეთში დამზადებული ატომური სადგურებისა, დაკავშირებულია დიდ რისკთან. ამის გარდა, მთელი პრობლემაა რადიოაქტიური ნარჩენების დაფვლა).

შესრულებული სამუშაოს ძირითადი მიზანი იყო მათემატიკური მოდელის შექმნა. პარალელურად ამ მოდელზე განხორციელდა ზოგიერთი საილუსტრაციო მაგალითის რიცხვითი ამოხსნა. შემდგომში მათემატიკური მოდელი საქენერგოს გადაეცა.

იმისათვის, რომ ოპტიმალური ამოცანა ამოიხსნას, მოდელში გარკვეული პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობების შეყვანაა საჭირო. ეს პარამეტრებია: ერთი კილოვატი სიმძლავრის მიღების ფასი სხვადასხვა ტიპის სადგურებისათვის; საექსპლუატაციო ხარჯები, ასევე სხვადასხვა სადგურებისათვის; რა თანხა გვაქვს მშენებლობისათვის; რა თანხის გადახდა შეგვიძლია აშენებული სადგურების ექსპლუატაციისათვის; ელექტროენერგიის სარეალიზაციო ღირებულება; როგორია გარემოს გაჭუჭყიანების მაჩვენებლები სხვადასხვა სადგურებისთვის და ა. შ. ცხადია, ეს მაჩვენებლები შეიძლება დროში შეიცვალოს. მოდელი საშუალებას იძლევა შევიყვანოთ პარამეტრების ახალი მნიშვნელობები, რის შემდეგაც მივიღებთ ახალ პასუხს. ამ ოპერაციაზე [illegible] მცირე დრო — ათეული წუთი იხარჯება.

შემუშავებული მათემატიკური მოდელი ნებისმიერი რაოდენობის სხვადასხვა ელექტროსადგურის ანალიზს ითვალისწინებს, ასევე შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის შეზღუდვის განხილვაც. საილუსტრაციო ამოცანების ამოხსნისას განვიხილეთ 8 ტიპის ელექტროსადგური: 1. მცირე სიმძლავრის ჰიდროსადგურები, რომელთა სიმძლავრეები არ აღემატებოდა 10 მეგავატს, 2. კაშხალთან მდებარე უწყალსაცავო ჰიდროსადგურები, რომლებიც გამდინარე წყალზე მუშაობს, 3. დერივაციული ტიპის ჰიდროსადგურები, 4. წყალსაცავიანი ჰიდროსადგურები, 5. ნახშირზე მომუშავე თბოსადგურები, 6. მაზუთზე მომუშავე თბოსადგურები. 7. ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოსადგურები და 8. ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურები.. მოდელი გაითვალისწინებს სხვადასხვა სახის აუცილებელ შეზღუდვებს.

ანალიზმა აჩვენა, რომ სიმძლავრეების მწყობრში შესაყვანად საჭიროა ძალზე დიდი კაპიტალური დაბანდებები — 4,7 — 6 მილიარდ დოლარამდე. თუ 4,7 მილიარდი დოლარი დაიხარჯება, მაშინ ენერგოსისტემის ოპტიმალური სპექტრი შემდეგია: 1000-მეგავატიანი წყალსაცავიანი ჰიდროსადგური, 120-მეგავატიანი ნახშირზე მომუშავე თბოსადგური, 235-მეგავატიანი მაზუთზე მომუშავე თბოსადგური და 829-მეგავატიანი აირზე მომუშავე თბოსადგური. ამჟამად ირკვევა, რომ აირზე მომუშავე თბოსადგურების იმედი აღარ უნდა გვქონდეს, იგივე ითქმის მაზუთზე მომუშავე ქვესადგურების შესახებაც. მაშასადამე, ეს ვარიანტი რეალური არ არის.

კომპიუტერისა და მოდელის შემდეგი ვარიანტი ითვალისწინებს 1392-მეგავატიანი კაშხალთან მდებარე და 1000-მეგავატიანი წყალსაცავიანი ჰიდროსადგურის მშენებლობას. ამ შემთხვევაში, კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება დაახლოებით 6 მილიარდი დოლარი. ეს ძალზე დიდი თანხაა. მაგრამ თუ ერთ კილოვატსაათ ენერგიას 5 ცენტად გავყიდით, მაშინ დახარჯული თანხა გამოისყიდება 8,5 წელიწადში, რის შემდეგაც ინვესტორის სუფთა მოგება წელიწადში 72 მილიონი დოლარი იქნება. მაგრამ თუ მუშახელს ხელფასს დოლარით გადავუხდით, ეს 6 მილიარდი შეიძლება 10-ჯერაც კი შემცირდეს და ინვესტორი გაცილებით მალე აინაზღაურებს დანახარჯებს. ვფიქრობ, ამ პირობებში ინვესტორი მოიძებნება. ჩემი აზრით, ეს შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია.

ორიოდე სიტყვა მცირე სიმძლავრის ჰიდროსადგურების მშენებლობის შესახებაც. კომპიუტერმა, როგორც მცირე სიმძლავრის ჰიდროსადგური, ისე ქარზე მომუშავე, საერთოდ ამოაგდო განხილვის პროგრამიდან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მცირე სიმძლავრის ჰიდროსადგურები არ უნდა აშენდეს? არა, ეს ამას არ ნიშნავს! იქ, სადაც არ არის მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზები, სადაც ამა თუ იმ პირს ან სააქციო საზოგადოებას შესაბამისი თანხები აქვს, მათ შეუძლიათ აშენონ მცირე სიმძლავრის სადგურები. კომპიუტერის მიერ განხილვიდან ამ ტიპის ჰიდროსადგურის ამოგდების ფაქტი მარტო იმაზე მეტყველებს, რომ დიდი სიმძლავრეების რეალიზაციის დროს, რასაც სახელმწიფო პროგრამა გულისხმობს, მცირე ჰესებისაგან აკრეფილი დიდი სიმძლავრეები ძალზე ძვირი ჯდება.

**ვახტანგ ჭიჭინაძე,**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

* * *

ჰონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

# ჩემი თანამედროვე

ათი-თორმეტი წლის წინათ, ხანგრძლივი განშორების შემდეგ, საბოლოოდ დაუბრუნდა მშობელ ქვეყანას პოეტი მიხეილ ქვლივიძე: „ვაშა! მე ისევ თბილისქალაქის დროითა ვცხოვრობ! რამოვორჯერა! სხვა რომ არ იყოს, ერთი საათით გავიხანგრძლივე ჩემი ცხოვრება!"

იგი ოცდათორმეტ წელიწადს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში...

— განა არ ჩამოვდიოდი? ისე რა გამაძლებინებდა.., ბილეთი იაფი იყო და წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ აქ ვიყავი... თითქოს ჟანგბადის ბალიშს ვეწაფებოდი, ისე ვყლაპავდი აქაურ ჰაერს და ეს მომავალ ჩამოსვლამდე მყოფნიდა... ხატოვნად არ ვამბობ: მე მართლა შეპყრობილი ვიყავი ნოსტალგიით...

— მაშინ, ჩამოსულიყავით ერთხელ და სამუდამოდ...

— საცხოვრებელი ადგილი არ მქონდა და, როგორც კი გამოჩნდა — წამოვედი, წამოუსვლელობა გამორიცხული იყო... თუნდაც იმიტომ, რომ ვწერდი მხოლოდ ქართულად, არადა, ვცხოვრობდი და ვმსახურობდი რუსულ გარემოში (საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის აპარატში), მეუღლეც უკრაინელი მყავდა.., ჰოდა, წამოვედი და, ახალ ცოლთან, ჭარმაგმა კაცმა, ბიჭიც „დავურტყი". „ჩემო პატარა გოგია, ბიჭი ხარ ერთი მტკაველი, ნეტავი ამალოკინა, რაც კი გაქვს გზა გასავლელი... შენ მთელი ჩემი სახმო ხარ, პატარა საქრისტიანო,.. ნეტავ იმდენ ხანს მაცოცხლა, მოვასწრო, დაგაფრთიანო!.." ამ ომგამოვლილი და არეული საქართველოს პირობებში, წარმოიდგინეთ, უფრო ვარ ნოსტალგიით ავად — ის ძველი თბილისი მენატრება... და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ეს არის ჩემი სახლი: „ჩვენი სახლი ხარ, ჩვენი სასტუმრო და ბოლოს ჩვენი სახმო საფლავიც".

ოჯახს, მშობლებს არ ირჩევენ, რაც ხდებოდა და რაც ხდება, ეს ჩემი პირადი ბედია, ანუ ჩემი ქვეყნის ბედი...

— ნეტა ყველა ასე ფიქრობდეს... ბევრი ტოვებს სამშობლოს... საწყენია, რომ ქართული ნიჭი და უნარი უცხოეთის ცის ქვეშ იფურჩქნება და ჰქნება...

— ზოგი მათგანი ასე ხსნის თავის გადაწყვეტილებას: „რა ვქნა — მე ღმერთმა მომამადლა ნიჭი და ვალდებული ვარ, მთლიანად წარმოვაჩინო იგი... მივდივარ იქ, სადაც ამას მეტად გავაკეთებ..."

ეეეჰ... მე თუ მკითხავთ, სამშობლოზე გარედან ფიქრი არ შეიძლება... სამშობლო შენი სულიერი მდგომარეობაა... იცოცხლეთ, მაქვს ამის გამოცდილება...

— საკვირველია, ამდენ ხანს რუსეთში, რუსულ გარემოში ცხოვრობდით და ამან იოტისოდენა გავლენაც ვერ მოახდინა თქვენს მსუყე, მადლიან ქართულზე. ეს აშკარად იგრძნობა კოროსტილიოვის პიესების თქვენეულ თარგმანებშიც (თუნდაც — „ფიროსმანში")... აღარას ვამბობ — პოეზიაზე...

— აკი, ზემოთ მოგახსენეთ: მხოლოდ ქართულად ვწერდი, თუმცა, შეიძლება ითქვას, რუსული ქართველად ვიცი.. კულინარიაში არსებობს ცომისთვის საფუარი და მაწვნისთვის მაწვნისდედა. ეტყობა, კარგი, ნოყიერი „მაწვნისდედა" ჩემთვის იყო ქართლისა და კახეთის სოფლები, სადაც ზაფხულობით ჩავდიოდი (ისე კი ქალაქელი კაცი ვარ), ჰოდა, ჩემი დედაენა არა ზოგადად კილოკავი იყო, არამედ, ძირძველი ქართული ხალხური მეტყველება.

ალბათ, ამის გამო, მე ვერც ხშირად რუსულად მოლაპარაკე დედაჩემმა გამარუსა და ვერც ოცდათორმეტ წელიწადს მოსკოვში ცხოვრებამ. მშობლიური ენის ღალატი მე სქესის (კაცობის) დაკარგვად მიმაჩნდა და რუსულად მეტყველ ოჯახშიც, რუსების სამსახურშიც ყოველთვის ვფიქრობდი და, უპირატესად, ქართულად აღვიქვამდი საგნებსა და მოვლენებს.



**რუბრიკის პრემიერა**

## მიხეილ ქვლივიძე:
# თითქოს ჟანგბადის ბალიშს ვეწაფებოდი...

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართული სკოლა და ქართული უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და სამხატვრო აკადემია) დავამთავრე...

— საინტერესოა, ბატონო მიშა, რა განწყობილება გეუფლებათ ამ არეული ქვეყნის შემყურეს, რას ფიქრობთ მის მომავალზე?

— წარმოიდგინეთ, იმედიანი განწყობილება მაქვს. საერთოდ, ღვთისა და ბუნების კანონია: მდინარე ყოველთვის მონახავს კალაპოტს. ეს რწმენა ჩემი ოპტიმიზმის საფუძველია. ღმერთმა მომამადლა მთავარისა და წვრილმანის გარჩევის უნარი. შეიძლება უმნიშვნელოდ, მაგრამ უკეთესობისაკენ გზას მაინც ვხედავ, ნელ-ნელა გვცილდება შემთხვევითი, ზედმეტი, მანკიერი.., ერთადერთი, რაც მადარდებს — მე ვერ მოვესწრები საქართველოს უკეთეს ხვალინდელ დღეს, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი საქმეა. მთავარია, რომ ჩემი თერთმეტი წლის ბიჭი და მისი ტოლმეგობრები, ნამდვილად, ჯანსაღ საქართველოში იცხოვრებენ.

— ბატონო მიშა, ქართული პოეზიის მოყვარულნი თქვენ გიცნობენ, როგორც უნატიფეს ლირიკოსს, „მარადიულ" თემებზე — სიკვდილ-სიცოცხლეზე, სიყვარულზე... დაფიქრებულ შემოქმედს. ამ ბოლო დროს კი, მე პირადად ბევრი თქვენი ლექსი წავიკითხე სოციალურ-პოლიტიკურ თემაზე. ეს, ეტყობა, ჩვენმა დუხჭირმა ყოფამ განაპირობა...

— სწორი ბრძანდებით... სოციალურ-პოლიტიკური თემა მართლაც არ არის ჩემი ამპლუა, თუმცა არც ახალია. მე ხომ „უჯრის პატიმრების" ავტორი ვარ. ეს ის ლექსებია, სადაც კრიტიკულად იყო შეფასებული საქართველოს საბჭოური პერიოდი. ამ „უჯრის პატიმრებიდან" არის ლექსები, რომლებმაც „პატიმრობაში" 40-50 წელი გაატარეს და მხოლოდ ახლა იბეჭდება ჩემს ერთტომეულში..

აი, მაგალითად ასეთი:
„ხუთწლედის გეგმა — ვადამდე,
ანუ თერთმეტი — ათამდე,
ატმის კომპოტი — ატმამდე
და ქათმის სუპი — ქათამამდე,
როდემდე, ანდა სადამდე?
ღმერთო, მოგვეცი შეძლება,
ამ საშინელ და გადამდებ
სიცრუეს რა ეშველება?!"

— თქვენ აგინეთ და, ბევრი ამბობს — ის დრო ჯობდაო..

— წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მეც ასე ვფიქრობ.,. მაგრამ ეს ჩემი სისუსტეა. შეცდომაა და გამოწვეულია ყოფა-ცხოვრების აუტანელი პირობებით. იმ სისტემას, ჩვენ რომ უარვყავით და დავანგრიეთ, ისეთ საშინელ ჩიხში მივყავდით, რომელთანაც შედარებით დღევანდელი სიდუხჭირე, არაფერია...

უნდა გავუძლოთ... მე მაქვს ბედნიერების ჩემეული ფორმულა, რომლითაც თავი ბედნიერ კაცად მიმაჩნია: ბედნიერია ის, ვისაც ისეთი ვინმე ან რამე გააჩნია, ურომლისოდაც ვერც ერთ წუთსაც ვერ იცოცხლებს.

ასეთი რამ ჩემთვის არის ჩემი სამშობლო, ჩემი ოჯახი, შვილი და განუმეორებელი დედაენა...

აი, ესა ვარ, რაცა ვარ (თუ კიდევ ზოგიერთ შტრიხსაც დავუმატებდით), სამოცდაათი წლის მიხეილ ქვლივიძე.

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი.

# პატივი მ[illegible]

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო, თქვა ეგზიუპერიმ. ბავშვობიდან მოვდივართ და ეს ბავშვობა დიდხანს მოგვყვება საგზლად, მანამ, სანამ ვინმეს კიდევ ახსოვს ჩვენი ბავშვობა, ალბათ, ამიტომაც გვეძვირფასება სკოლა და მასწავლებელი, რომლებისთვისაც ათწლეულების, შემდეგაც 15-17 წლის ყმაწვილებად დავრჩით. როდესაც მასწავლებელი გიკვდება, შენი ბავშვობის ნაწილიც გიკვდება...

26 აპრილს თბილისის 161-ე სკოლაში სამი ღვაწლმოსილი პედაგოგის, ნინო კერესელიძის, გიული ფანჩულიძისა და რევაზ ჯაშის ხსოვნის საღამო გაიმართა. იგი ორმხრივად იყო ღირსშესანიშნავი. ერთი, რომ პატივი მიაგეს აწ გარდაცვლილ შესანიშნავ ადამიანებს და მერე, რომ სკოლაში კვლავ აქვთ ხალისი და სურვილი რამე ღონისძიების მო[illegible] [illegible] [illegible] ალზრდილებმა (მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც ამ 30-35 წლის წინათ დაამთავრა სკოლა) უშუალოდ, ამაღელვებლად, შთამბეჭდავად მოიგონეს და შეაფასეს ამ ადამიანების ღვაწლი და გმირული ცხოვრება (გახსოვთ: „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი..."). ყველა კმაყოფილებით შეხვდა დირექტორის, ბატონ ჯუმბერ ცერცვაძის წინადადებას 161-ე სკოლაში ნინო კერესელიძის (უცხო ენების), გიული ფანჩულიძის (ქართული ენისა და ლიტერატურის) და რევაზ ჯაშის (ისტორიის) სახელობის სასწავლო კაბინეტების დაარსების შესახებ.

თამარ ნუცუბიძე.

# აღიარება და... მოვალეობა

ახლახან რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. აი, რა გვითხრა მან ამ ფაქტთან დაკავშირებით.

— რა თქმა უნდა, ასეთი წარმატება ყოველი ადამიანისათვის სამაყოა. მეც აღვიქვამ მას, როგორც ჩემი შრომის გარკვეულ შედეგს. ამ აღიარებას ხომ წინ სერიოზული გამოგონებები, სამეცნიერო შრომები, ძიებაში გატარებული ღამეები უძღოდა. საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა უდიდეს პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. წინ მიძევს, დაძაბული დღეები მელის. ჩემი უდიდესი სურვილია საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემა მომავალში მთლიანად თანამედროვე ტიპის აპარატურით შეიცვალოს და საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდეს. მოსახლეობის მომსახურება ხომ ძირფესვიანად უნდა გარდავქმნათ.

კარგად ვიცი, ჩვენს სფეროში ბევრი რამ ისე ვერ კეთდება, როგორც საჭიროა, მაგრამ ეს არ არის კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკების ბრალი. მათ მონდომება არ აკლიათ. უბრალოდ, ობიექტური მიზეზები არ გვაძლევს მეტის გაკეთების საშუალებას. ერთბაშად ძნელია ყველაფერი შეიცვალოს. ფინანსური და პოლიტიკური არასტაბილურობაც გვიშლის ხელს. ვეძებთ გზებს, რომ დაინტერესებული, ავტორიტეტული საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციები, თუ კერძო ფირმები მოვიზიდოთ. რაც უფრო მალე მივაღწევთ ამას, მით უფრო ოპერატიულად ავამოქმედებთ სატელიტურ საერთაშორისო და შიდა კავშირებს. ვფიქრობ, ჩვენს კავშირგაბმულობის სისტემასაც მალე ეშველება...

მზია ნარმანია,
საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

## ინფორმაცია

პარტიებსა და მოძრაობებში

### დაფუძნდა ახალგაზრდა ტრადიციონალისტთა კავშირი

29 აპრილს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა ახალგაზრდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, მთავრობის წევრები, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.

ყრილობაზე გამოსვლისას ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, პარლამენტის დეპუტატმა აკაკი ასათიანმა ილაპარაკა ახალგაზრდულ მოძრაობათა როლის შესახებ, ხოლო კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრმა, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ დაწვრილებით გააცნო მიმდინარე რეფორმები.

შემდეგ მიიღეს კავშირის წესდება, აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები. ახალგაზრდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია 20 წლის ლევან ბოძაშვილი.

დასასრულ, გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ახალგაზრდა ტრადიციონალისტებმა, რომლებიც კონსერვატიზმისა და მემარჯვენე ცენტრისტის პოზიციებზე დგანან, უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

დეპეშათა სააგენტო „ილვა-პრესი".

### ნებართვას თხოულობს...

6 მარტს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი მიუსაჯა ორ პატიმარს ირაკლი დოკვაძეს და პეტრე გელბახიანს.

ამასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა მიმართა გაუგზავნა რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მინდია უგრეხელიძეს და საქართველოს გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ იგი თხოულობს ნებართვას სიკვდილმისჯილთა მონახულებაზე.

ასოციაციის პრესსამსახური.

**სხვა გაზეთებიდან**

# ფართოდ იყიდება გაყალბებული ქართული სუფრის ღვინოები

ლუდსახდელი, უალკოჰოლო და მეღვინეობის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა გაზეთ „იზვესტიის" შეკვეთით ჩაატარეს ქართული ღვინოების „ხვანჭკარის", „ქინძმარაულისა" და „მუკუზნის" ნიმუშთა ქიმიური და ორგანოლეპტიკური ანალიზი. პირველი ნაყიდი იყო კერძო მაღაზიაში. დანარჩენი ორი — კომერციულ ფარდულში. ყველა ბოთლი აქციზის მარკების გარეშე იყიდებოდა.

### „მუკუზანი"

სპირტის მოცულობითი წილი — 11,3 პროცენტი, რკინის მასობრივი კონცენტრაცია — 18 მგ/დმ³, ღვინო მღვრიეა, მუქი წითელი ფერისა. ბუკეტში „საფერავის" ყურძნის ჯიში არ იგრძნობა. გემო უხეშია, დავარგების ტონი და ბუკეტი გემოში არ იგრძნობა.

დასკვნა: ღვინო არ შეესაბამება სახელწოდებას და 7208-93 სახელმწიფო სტანდარტს „ყურძნის ღვინოები და ყურძნის დამუშავებული ღვინომასალები. ზოგადი ტექნიკური პირობები" „რკინის მასობრივი კონცენტრაციით (უნდა იყოს არა უმეტეს 10 მგ/დმ³) და ორგანოლეპტიკური თვისებებით: გამჭვირვალობით (ღვინო მღვრიეა, უნდა იყოს გამჭვირვალე, უნალექოდ), ბუკეტში „საფერავის" ყურძნის ჯიშის, საიდანაც ის უნდა მზადდებოდეს, ბუკეტის უქონლობა და სამარკო ღვინოებისათვის დამახასიათებელი დავარგების ტონების უქონლობა.

### „ხვანჭკარა"

სპირტის მოცულობითი წილი 10,5 პროცენტი, შაქრის მასობრივი კონცენტრაცია ინვერსიით 47,4, უინვერსიოდ 38,8 გ/დმ³, ღვინო მღვრიეა, ფერი არადამახასიათებელი (წითელი შავ-იისფერი ელფერით), გემოში იგრძნობა ზედმეტი სიტკბო, არაჰარმონიულობა, არომატში — უცხო ტონი.

დასკვნა: ღვინო არ შეესაბამება სახელწოდებას და 7208-93 სახელმწიფო სტანდარტს ყურძნის შაქართან ერთად ხელოვნურად მომატებული საქაროზის არსებობით, რაც ფალსიფიკაციაა. არ შეესაბამება სახელწოდებას, არც ორგანოლეპტიკური თვისებებით: გამჭვირვალობით, ფერით, არომატში უცხო ტონის არსებობით, არაჰარმონიული გემოთი.

### „ქინძმარაული"

სპირტის მოცულობითი წილი 10,1 პროცენტი, შაქრის მასობრივი კონცენტრაცია 26,2 გ/დმ³. ღვინო მღვრიეა, ამ სახელწოდებისათვის არადამახასიათებელი ფერისა (წითელი შავი ელფერით), „საფერავის" ჯიშის ყურძენი გამოხატული არ არის, გემო — არაჰარმონიული.

დასკვნა: ღვინო არ შეესაბამება 7208-93 სახელმწიფო სტანდარტს სპირტის მოცულობითი წილით (უნდა იყოს არანაკლებ 10,5 პროცენტი), შაქრის მასობრივი კონცენტრაციით (უნდა იყოს არანაკლებ 30 გ/დმ³) და ორგანოლეპტიკური თვისებებით: გამჭვირვალობა, ფერი, „საფერავის" ჯიშის ყურძნის, საიდანაც ის მზადდება, ტონების არარსებობა, გემო.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ სამივე ნიმუშს ეტიკეტზე არა აქვს აუცილებელი მონაცემები, რომლებსაც ითვალისწინებს 5575-76 სახელმწიფო სტანდარტი: „ღვინოები, შეფუთვა, ნიშანდება და ტრანსპორტირება", არა აქვს პროდუქციის სტანდარტის ნიშანი, ჩამომსხმელი საწარმოს სახელწოდება და ჩამოსხმის თარიღი.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, საფიქრებელია, რომ ეს ღვინოები დამზადებულია იატაკქვეშა ქარხნებში. არასწორად გაფორმებული ეტიკეტები, რომლებზეც აწერია, მხოლოდ „სამტრესტი", ადასტურებს ამას: საქმე იმაშია, რომ „სამტრესტი" არის გაერთიანება, რომელსაც ექვემდებარება სხვადასხვა ქალაქში მდებარე ქარხნები. ამიტომ, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს „სამტრესტის" სახელდობრ, რომელმა ქარხანამ ჩამოასხა ღვინო.

„სამტრესტის" მოსკოვის ქარხანაში გვაცნობეს, რომ უკვე კარგა ხანია, საქართველოდან აღარ მიუღიათ ღვინომასალა, ამდენად, ქარხანას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ ქართულ ღვინოებთან, რომლებიც ახლა ასე ფართოდ იყიდება.

თვით საქართველოდან მოსკოვში მზა ღვინოების ტრანსპორტირებას რაც შეეხება, ეს მეტად პრობლემატური საკითხია: თვითმფრინავებით გადაზიდვა არახელსაყრელია, სარკინიგზო კავშირი კი პრაქტიკულად არ არსებობს.

„მუკუზნის" ეტიკეტზე კი დამამზადებლის სახელწოდება საერთოდ არ არის, სამაგიეროდ, აწერია, „უნიკალური ღვინო". ვერაფერს იტყვი, ღვინო მართლაც უნიკალურია, ოღონდ უარყოფითი ნიშნით.

იაყალბევი რომ ხელში არ შერჩეთ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საარბიტრაჟო ანალიზისა და მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის გამგე ოლგა ზახაროვა მყიდველებს ურჩევს ყურადღება მიაქციონ ღვინის გამჭვირვალობას, ის არ უნდა იყოს მღვრიე, თუნდაც მცირე ნალექის არსებობა იმას მეტყველებს, რომ ღვინო წესების დაცვით არ დამზადებულა. ნალექი დასაშვებია მხოლოდ არანაკლებ სამი წლის დავარგების საკოლექციო სამარკო ღვინოებში. აგრეთვე, როგორც საჭიროა, ისე უნდა გავსინჯოთ ეტიკეტი. თუ მას არ აწერია ზემოაღსენები გამოსასვლელი მონაცემები, ესე იგი, საქმე მთლად სუფთად არ არის. არც ერთ, თავის პატივისმცემელ დამამზადებელს, არ ეუხერხულება საკუთარი სახელის მითითება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ ეტიკეტზე, თუნდაც უკანა მხრიდან, აღნიშნული იყოს ღვინის ჩამოსხმის თარიღი, ვინაიდან მისი შენახვის ვადა შეზღუდულია. ნახევრადტკბილი „ხვანჭკარისა" და „ქინძმარაულის" ვარგისიანობის ვადაა 3 თვე, სამარკო „მუკუზნისა" კი — ოთხი.



„იზვესტიის" შეკვეთით ექსპერტიზა ჩაატარა ლუდსახდელი, უალკოჰოლო სასმელებისა და მეღვინეობის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საარბიტრაჟო ანალიზისა და მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ.

# მაისის ამინდი

დადგა მაისი — გაზაფხულის ბოლო თვე.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის მაისში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 13-დან 15 გრადუსამდე, მთიან რაიონებში — 11-14, მაღალმთიან რაიონებში — 5-10 გრადუსი, რაც 1-2 გრადუსით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. შედარებით გრილი ამინდებია მოსალოდნელი თვის პირველ დეკადაში — შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 4-9, მთიან რაიონებში — 1-6 გრადუსამდე, მაღალმთიან რაიონებში 2 გრადუსი სითბოდან 3 გრადუს ყინვამდე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 2-7 გრადუსამდე (შიდა ქართლში, ელდარისა და შირაქის საძოვრებზე და მთიან რაიონებში 2 გრადუსი სითბოდან 3 გრადუს ყინვამდე). მაღალმთიან რაიონებში 1-6 გრადუს ყინვამდე. მესამე დეკადაში კი მოსალოდნელია ტემპერატურის მომატება დღისით დაბლობში 25-30, კოლხეთის დაბლობზე 30, ზოგან 33 გრადუსამდე. რესპუბლიკის მთიან რაიონებში 23,-28, მაღალმთიან რაიონებში 19-24 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, შიდა კახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს, ქვემო ქართლსა და კახეთში მასზე ნაკლები.

მაისის თვის უმეტესი დროის განმავლობაში მოსალოდნელი გრილი ამინდების გამო სითბომოყვარული კულტურების აქტიურ ზრდა-განვითარებას ადგილი არ ექნება. მესამე დეკადის ტემპერატურული რეჟიმი კი ჩაისა და ციტრუსების ვეგეტაციის პირობებს გააუმჯობესებს.

მაისის პირველ დეკადაში ხეხილის ყვავილობისათვის კვლავ არახელსაყრელი პირობები ექნება შიდა ქართლში, სადაც შესაძლებელია ღამის ტემპერატურამ მინუს 3 გრადუსამდე დაიკლოს.

მარცვლეულ კულტურებს ზრდა-განვითარებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები ექნება. მესამე დეკადის თბილი ამინდი ხელს შეუწყობს პურეულის ჩვეულებრივ ვადებში დათავთავებას.

მაისი ცხვრის ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის საძოვრებზე გადარეკვის თვეა. მთისწინა რაიონების გადასარეკ ტრასებზე ბალახეული საკმაოდ წამოზრდილია, მაღალმთიან რაიონებში კი თვის ბოლოს გაუმჯობესდება პირობები მათი ვეგეტაციისათვის.

აპრილის თვეში ქ. თბილისის ჰაერის გაჭუჭყიანების დონე საშუალო მრავალწლიურის ფარგლებში იყო. მაღალი და ექსტრემალურად მაღალი გაჭუჭყიანება არ აღინიშნულა.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქმთავარჰიდრომეტის უფროსი

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი, პარლამენტის წევრის ივლიანე ხაინდრავას მამა

ლევან ხაინდრავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩოგბი

### საქართველოს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს თანამეგობრობის ხალხთა სპარტაკიადაში

უკანასკნელ მომენტამდე ღიად რჩებოდა ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობის საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხალხთა სპარტაკიადაში, რომელიც სტარტს იღებს სანქტ-პეტერბურგში მაისის დამდეგს. სპარტაკიადის დებულების შესაბამისად თანამეგობრობის თორმეტი რესპუბლიკიდან თითოეულს უნდა შეეტანა ავანსი ასი ათასი ამერიკული დოლარი.

ჩვენი რესპუბლიკა ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ შეძლო ფინანსურ სიძნელეთა გამო შეეტანა ეს ავანსი. საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს, რომელსაც ანატოლი სობჩაკი მეთაურობს, ფაქსით გადასცა თავისი სინანული იმის გამო, რომ ქართველი სპორტსმენები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ სპარტაკიადაში ფინანსურ მოსაზრებათა გამო. მაშინვე თბილისში მოვიდა პასუხი ნევისპირა ქალაქიდან: „ორმოცდაათამდე კაცისაგან შემდგარი დელეგაციის სანქტ-პეტერბურგში ყოფნისა და სპარტაკიადაში მონაწილეობის ხარჯებს კისრულობს მასპინძელი მხარე, ესე იგი, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი".

— ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ მონაწილეობას მივიღებთ სპარტაკიადაში, — თქვა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამირან აბესაძემ. — უსაზღვრო მადლობას მოვახსენებთ ანატოლი სობჩაკს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს კიდეც საქართველოსათვის. სპარტაკიადაზე ჩავა 48 სპორტსმენი საქართველოდან, ისინი მონაწილეობას მიიღებენ შვიდი სახეობის სპორტში — კალათბურთში, კრივში, ჭადრაკში, სპორტულ ტანვარჯიშში, ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ გამოყო შესაბამისი სახსრები საქართველოს სპორტული დელეგაციის სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად.

ბესიკ ფიფია

### მასპინძელთა დღე

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 24-ე ტურის რვა შეხვედრიდან შვიდი მასპინძლებმა მოიგეს: „დინამო" — „დილა" 4:2 (მძიმე ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ამ მატჩში კვლავ გამოჩნდა მინდორზე გიორგი ნემსაძე). დინამოელთაგან გოლები გაიტანეს: კახა კალაძემ, ლევან ყიფიანმა, ლევან ცქიტიშვილმა და ალექსანდრე იაშვილმა. სტუმართაგან ორივე ბურთი ნუკრი მინდიაშვილის ანგარიშზეა, „სამტრედია" — „შევარდენი" 2:0, „კოლხეთი" — „მარგვეთი" 4:0, „ტორპედო" — „გურია" 4:0, „სამგურალი" — „მეტალურგი" 2:1, „დურუჯი" — „ბათუმი" 1:0, „კახეთი" — „ივერია" 2:0. მეორე წრეში მშვენივრად მოასპარეზე ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა ნეიტრალურ მოედანზე სძლიეს „საპოვნელას" 1:0 და კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს (თერჯოლის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო ეს შეხვედრა ვანში გაიმართა).

ამრიგად, მედლებისათვის მებრძოლთა სატურნირო მდგომარეობა უცვლელი დარჩა. „სამტრედია" — 61, „დინამო" — 59, „კოლხეთი" — 54 ქულა.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, „კოლხეთ" — „დინამოს" უმნიშვნელოვანესი გამოტოვებული მატჩი ფოთში 13 მაისისათვის დაინიშნა.

### არგენტინელთა გამარჯვება

ყატარში დასრულებული ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთამერიკულმა ფინალმა არგენტინა — ბრაზილია გამარჯვება მარადონას თანამემამულეებს მოუტანა 2:0. მესამე პრიზიორები ესპანელები გახდნენ.

### დღეს 18 საათზე

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველმა სუპერფინალურმა მატჩმა „კაქტუსი" — „ვითა" რეალური გახადა თამაზ ოქროაშვილისა და მერაბ ცირეკიძის აღსაზრდელთა საჩემპიონო ზრახვანი.

დრამატულ ბრძოლაში წარმატებას „კაქტუსმა" მიაღწია 79:69 (50:32) და ახლოსაა წერტილი დაუსვას რესპუბლიკურ სარბიელზე „ვითას" ორწლიან ჰეგემონიას.



სურათზე: „კაქტუსი" — „ვითას" მატჩის ფრაგმენტი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

ამ შეხვედრაში გამარჯვებულებმა ბერძენიშვილისა და ჩხეიძის წინამძღოლობით შესაშური თავგანწირვა და სპორტული ქინი გამოამჟღავნეს. მოგებას მათ საფუძველი პირველი ტაიმის დასკვნით ხუთწუთიან მონაკვეთში ჩაუყარეს, რომელშიც პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე 25:4 (!).

შესვენების შემდეგ დადიანისა და ტურაშვილის დიდი ძალისხმევით „ვითამ" თითქმის შეუძლებელი შეძლო და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 65:67, მაგრამ კრიზისულ ვითარებაში თორთლაძემ, ნაცვლიშვილმა და ჟღენტმა შესაშური ფსიქოლოგიური სიმტკიცე შეინარჩუნეს და ზუსტად შესრულებული საჯარიმო ტყორცნებით საქმე ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანეს. აღსანიშნავია „ვითას" სნაიპერების — სახაძისა და კობეშავიძის უფერული თამაში.

მესამე ადგილისათვის გამართული პირველი ორთაბრძოლა „დინამომ" იოლად მოუგო „მერანს" 87:70.

გუშინ საპასუხო მატჩი „ვითამ" მოიგო 78:61 და საერთო ანგარიში გაათანაბრა 1:1. დღეს გადამწყვეტი შეხვედრა სპორტის სასახლეში 18 საათზე დაიწყება.

მესამე პრიზიორი გახდა „დინამო", რომელმაც კვლავ სძლია „მერანს" 110:93.

### კვლავ „ბაასი"

მინი-ფეხბურთელთა მორიგ ეროვნულ ჩემპიონატს დედაქალაქის სპორტ-კომპლექსი „იმედი" მასპინძლობდა. პირველ ფინალურ მატჩში შარშანდელმა ჩემპიონმა — ბაღდათის „ბაასმა" სძლია თბილისის „ქორებს" 5:4 და საპასუხო მატჩში ფრეც ჰყოფნის წოდების შესანარჩუნებლად.

გუშინ „ბაასმა" ისევ დაამარცხა „ქორები" 10:6 და ზედიზედ მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

### ისინი საერთაშორისო სარბიელზე იასპარეზებენ

ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 18 წლამდე ასაკის გოგონათა და 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკის ჩემპიონატი.

გამარჯვება და თანატოლთა მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის უფლება მირანდა ხორავამ და ნატო ეძგვერაძემ (ჭაბუკთა შორის!) მოიპოვეს. მეორე პრიზიორები ეკა ჯავახიშვილი და ალექსანდრე ყამაშვილი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

### უნივერსიადის პროგრამით

საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონები ფარიკაობაში სპორტის აკადემიის სტუდენტები გახდნენ. გუნდური მეორე ადგილი წილად ტექნიკური, ხოლო მესამე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებს ხვდათ.

ცალკეულ სახეობებში საუკეთესონი იყვნენ: რაპირა — ხათუნა ჰუმბურიძე (თსუ) და ირაკლი ჩიტიშვილი (სტუ), ხმალი — ვაჟა ვაშაძე (სტუ), დაშნა — რუსუდან გოგიაევა (სპორტის აკადემია) და ალეკო ზახაშვილი. (სტუ).

### წვევამდელთა სპარტაკიადაზე!

ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა ფაზისზე გამარჯვების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საბურთალოს რაიონის წვევამდელთა სპარტაკიადა (მთავარი მსაჯი — ეროვნული კატეგორიის არბიტრი ნუხა გაგოშიძე).

სპორტის 6 სახეობაში რაიონის 8 საშუალო სკოლის მოსწავლეთა დავაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გუნდური — 63-ე სკოლა — 767 ქულა, მე-60 სკოლა — 658 ქულა და 64-ე სკოლა — 603 ქულა. პირადი: ირაკლი წვერავა (63-ე სკოლა), ლაშა ცნობილაძე (მე-60 სკოლა) და ალექსანდრე სოლნცევი (64-ე სკოლა). მათ გადაეცათ ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ რაიონის გამგეობის (ანდრო ზოდელავა, თამაზ კალმახელიძე), კომისარიატის (რევაზ გახოკიძე, ოთარ პაპავაძე), განათლების განყოფილებისა (პაატა ნარიმანიძე) და სპორტკომიტეტის (ვახტანგ ჯინჯარაძე) ძალისხმევით ასპარეზობამ უჩვეულოდ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა.

ამ ტურნირის შედეგების მიხედვით შეირჩა საბურთალოს რაიონის ნაკრების 15 სპორტსმენი, რომლებიც დღეს ქალაქის წვევამდელთა სპარტაკიადაზე გამოვლენ.

### დაწინაურდა ჰილი

პროფესიონალ ავტომრბოლთა „ფორმულა-1" მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი — „სანმარინოს დიდი პრიზი" იმოლას ავტოდრომზე შარშანდელი ვიცე-ჩემპიონის ინგლისელი დაიმონ ჰილის მძლავრი ფინიშით აღინიშნა. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ ფრანგი ჟან ალეზი და ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი. ეს ჰილის მეორე წლევანდელი მოგებული ეტაპია, იგი საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა.

### მრავალჟამიერ!..

ამ დღეებში 5 წელი შესრულდა გაზეთ „ქართული ფეხბურთის" პირველი ნომრის გამოსვლიდან. ეროვნული ჩემპიონატების თანატოლი კვლავაც გულშემატკივართა დიდი ინტერესით სარგებლობს.

იუბილეს გილოცავთ, კოლეგებო!

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1995 წლის II ნახევრისათვის რუსეთის ფედერაციის კატალოგის მიხედვით.

ხელმოწერა ჩატარდება მხოლოდ რუსული რუბლებით. ხელმოწერა მიიღება 1995 წლის 20 მაისამდე.

ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოებისა და ქ. თბილისის სააქციონერო საზოგადოება „მაცნეს" საწარმოო უბნებში, აგრეთვე პრესის გავრცელების რესპუბლიკურ ცენტრში.

საქართველოს რესპუბლიკის
კავშირგაბმულობის სამინისტრო


ფირმა «PrintShop»

თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.




უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს

PS L.T.D


მთავარი რედაქტორი ბუჩამ გოგიაშვილი..